



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.
 ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. ზოგადების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარნის ქუჩაზე, № 27.
 ტელეფონი № 734.
 ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: ზოგიერთი კითხვები მიწათმფლობელების შესახებ, მასალების. — სხვა-და-სხვა ამბები. — კორესპონდენტები. — რუსეთის ცხოვრება. — ლექსი, დ. თამაშვილისა. — მაგრამ, მოთხრობა Fritz-ის. — ზღვა, ლექსი ზრახთ, მცირეშვილისა. — სსფდარ-გარეთ — ქალთა კითხვის დღევანდელი მდგომარეობა, ზ. კ—ნისა. — სოფლის მას-წავლებლებზე. გრ. ტენტერაძისა. დიალექტიკა და მეტაფიზიკა, თარ. ა. ჩ—ლისა. — სსზოგადობრივ ჭიკიენ., ქიმიისა. — განცხ. —

ზოგიერთი კითხვები მიწათმფლობელების შესახებ ჩვენში.

V*).

მიწათმფლობელების ისტორიის განხილვამ ჩვენ თან-და-თან მიგვიყვანა იმ კითხვამდის, თუ როდის გაჩნდა ანუ დამკვიდრდა ჩვენში ბატონ-ყმური ურთიერთობა, როგორც ვიცით, ბ. ა. ხახანაშვილმა გადაჭრით გამოაცხადა, რომ გიორგი მეფის კანონებმა სრულებით არ იცის ბატონ-ყმობა. ბ. ნ. ურბნელის აზრით, უკვე მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ურთიერთშორისი დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის გამწვავებულია, მაგრამ მეორე მხრით ბ. ხახანაშვილის ზევით მოყვანილ აზრს იგი სრულებით უყურადღებოთ ტოვებს, რაც მხოლოდ იმით უნდა აეხსნათ, რომ ბ. ურბნელს ისე, როგორც თვით ბ. ხახანაშვილს, ამ საგნის შესახებ საკმარისი მასალა არ ჰქონიათ, რომ იგი უფრო ღრმად და საფუძვლიანად ჩადგომოდა მას კვალში. მართალი რომ ვთქვათ, ბატონ-ყმობის წარმოშობის და განვითარების შესწავლა ჩვენში ჯერ თითქმის არავის არ უცდია. ახლა ვიკითხოთ: არსებობს თუ არა ამისთვის საკმარისი მასალა ლიტერატურაში? უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ისტორია სიბნელით არის მოცული, რაც უმეტეს ნაწილათ შესაფერი მასალის უქონლობით უნდა აიხსნას. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ სრულებით არავითარი მასალა არ მოიპოვებოდეს ამის შესახებ. თუ ამასთანავე არსებულ მასალას შეუფარდებთ სხვა ქვეყნების ანალოგიურ ფაქტებს, იმ შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლება წარმოვიდგინოთ რამდენიმე მაინც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ვითარება წარსულში. უწინარეს ყოვლისა აქ ერთი გარემოება მხედველობაში მისაღები, სახელობს ის, რომ ყოველივე საზოგადოებრივი მოვლენა მხოლოდ მას შემდეგ გადადის წერილობით საბუთში, თუ კანონმდებლობაში, როცა მას თვით ცხოვრებაში საკმარისათ მოკიდებული აქვს ფესვი. ასე რომ ის ურთიერთობა, რომელსაც

ბატონ-ყმობას ვუწოდებთ, სანამ კანონმდებლობაში ანუ რაიმე იურიდიული ხასიათის საბუთში გადავიდოდა, დიდი ხნიდან შემოდებული იყო ცხოვრებაში.

რამ დაუდო საფუძველი ბატონ-ყმურ დამოკიდებულებას? აი საკითხი, რომელზედაც თავდარიველათ პასუხის მიცემა ჩვენ საჭიროთ მიგვანია, სანამ მეორე საკითხის გამოარკვევას შევეუდგებოდეთ. ბ. ა. ხახანაშვილის აზრით, „საფუძველი ბატონ-ყმობას სამმა ელემენტმა დაუდო: ნაყიდმა (ვალგადაუხდელმა), ბოძებულმა და თავის ნებით ყმათ მისუღმაო“¹⁾. ხახანაშვილის აზრს ეთანხმება ბ. ურბნელიც; იგი ამბობს: „ტყვეობამ, ვალსა და სისხლში წაყვანამ და თავის გაყიდვამ დაბადა ყმობაო“²⁾. აშკარაა, რომ ორივე ზევით დასახელებული ავტორები უფრო იმ ელემენტებზე გვითითებენ, რომლებიც ჟამთა ვითარების გამო ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში ვარდებოდნენ, ვინც ბატონ-ყმობის საფუძველზე. რომ ტყვეც ვალ-გადაუხდელი კაცი და გინდ თავისი თავის გამყიდავი ხდებოდნენ ყმებათ, ეს ჩვენ გვესმის. მაგრამ საიდან წარმოდგა ის პირობები, რომლების წყალობით ყოველივე ეს შესაძლებელი შეიქნა! ცნობილია, რომ წინეთ ტყვეებს ხოცავდნენ, შემდეგში იმათ მონებათ ხდიდნენ, და მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელი შეიქნა იმათი მებეგრებათ ანუ ყმებათ გადაქცევა. აგრეთვე ჩვენ დროში: ვალგადაუხდელი კაცი შეიძლება ციხეში ჩასვან, მაგრამ ყმათ ვერ გახდიან. გარდა ამისა, განა შესაძლებელი იყო, რომ თუ თვით ცხოვრებაში არ იყო განსაკუთრებული პირობები, ყმის ბოძება, ყიდვა ან თავის ნებით ყმათ შესვლა შესაძლებელი ყოფილიყო? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საიდან შეიძლებოდა ყმების „ბოძება“, თუ იმას, ვისაც ამ ბოძების უფლება ქონდა, ყმები არ ყოლოდა? ამნაირათ ვერც ერთმა ზევით დასახელებულმა ავტორთაგანმა ვერ გვიჩვენა ის საფუძველი, რომელზედაც დამყარდა ბატონ-ყმური ურთიერთობა, ე. ი. ყმების

1) იხ. „ბატონ-ყმობა საქართველოში“, გვ. 45.
 2) ათაბაგნი ბეჟა და ალბულა, გვ. 110.

*) იხ. „კვალი“ № 26.



დამოკიდებული მდგომარეობა, მათ მიწაზე დაკვრა, პირადი და ქონებრივი უფლებების დაკარგვა და სხვ. ბატონ-ყმობის საძირკველი ჩაიყარა მაშინ, როცა საგვარეულო წესწყობილება დაირღვა. რასაკვირველია ეს დარღვევა ნელ-ნელა და თანდა-თან ხდებოდა. საგვარეულო წესწყობილების დარღვევა ნიშნავდა იმავე დროს სათემო თუ საოჯახო მიწის მფლობელობის გაქრობას და წვრილი საგლეხო მიწათმფლობელობის გაჩენას. აქედან ერთი ნაბიჯია მსხვილ მიწათმფლობელობამდის. ეს ნაბიჯი ნიშნავს წვრილ საგლეხო მიწათმფლობელობის მოსპობას და იმის ადგილას მსხვილ მიწათმფლობელთა გაჩენას. ამით დაედვა საფუძველი ფეოდალიზმს, ანუ ბატონ-ყმურ ურთიერთობას. „ეკონომიურ საფუძველს³⁾ — ამბობს ბ. კოვალევსკი — რომელზედაც მყარდება ფეოდალური სისტემა, შეადგენს მიწის სხვილი საკუთრება: სადაც იგი არ არის, სადაც ხალხის უმრავლესობა ფლობს მიწას, ვითარცა კერძო ან სათემო მფლობელი, იქ არ არის აუცილებელი პირობები ფეოდალიზმის განვითარებისათვის... ამისათვის სრულებით გასაკვირალი არ არის, თუ ინგლისში, როგორც საზოგადოებრივ ევროპის ხმელეთზე, ფეოდალური წესწყობილების განვითარებას წინ მიუძღოდა ხალხის უმრავლესობის უმიწა-წყლოთ დარჩენა უმცირესობის სასარგებლოთ“. ჩვენშიაც ასე მოხდა. მაგრამ საქმე იმაშია, თუ რა გზით და საშვალებით მოხდა ეს? მაშინ როცა დასავლეთ ევროპის ისტორია ამ პროცესის შესასწავლათ აურაცხელ მასალას იძლევა, ჩვენი ისტორია ამ მხრით მეტათ ღარიბია.

ცნობილია, რომ მერვე საუკუნის ბოლოს და მეცხრე საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თითქმის მთელი მიწა-მამული ჩაგდებული ქონდა ხელში ერთი მხრით მეფეთ და უმაღლეს სახელმწიფო და წარჩინებულ პირს და მეორე მხრით ეკლესიას, და იმავე დროს წვრილი მესაკუთრენი თანდათან კარგავენ დამოუკიდებლობას და ხდებიან სხვილ მესაკუთრეთა ქვეშევრდომნი. ევროპის საშვალ საუკუნოების ფეოდალური მიწათ-მფლობელობის სათავე რომის იმპერიის სხვილ მამულებში უნდა ეძიოთ, თუმც იმის წარმოშობა და განვითარება საესებით მიეწერა მერმინდელ სოციალურ პირობებს. იმ საერთო მოუხვეწრობის დროს, როგორც იყო დასავლეთ ევროპაში საშვალ საუკუნოების დასაწყისი, „მიწის-მომუშავე-მესაკუთრენი, — როგორც მოგვითხრობს ბ. კოვალევსკი, — და მთელი სოფლები, პოულობენ ძლიერ პირთა მფარველობას იმ საშვალებით, რომ იმათ უთმობდნენ მესაკუთრის სახელს და თითონ კი მიწის მხმარებლებათ რჩებოდნენ“⁴⁾. სილიციანის ცნობით, ეს სხვილი მესაკუთრენი „ყიდდნენ მფარველობას და ყვლდნენ წვრილ მფლობელთ“⁵⁾. თუ რამდენათ გავრცელდა ამ გზით წვრილ მფლობელთა გაყვლეფა. ეს აშკარათ ჩანს კარლ დიდის შემდეგი დეკრეტისაგან: არავის არ ეძლევა ნება გადაიტანოს სხვის ხელში თავისი სამკვიდრო მამული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას აიძულებს შიმშილობა“⁶⁾. გარდა ამისა სხვილ მფლობელობის განვითარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მეფეები მოხელე პირთ აჯილდოებდნენ მიწა-ადგილათ, პირველათ მხოლოთ სიკვდილამდის, შემდეგ სრულ საკუთრებათ. განსაკუთრებით დიდძალი მიწა-ადგილი გადაეცა ამ გზით ეკლესიის ხელში. ეკლესია ერთობ ჩქარა შეიქნა დიდძალი მამულის მფლობელი. ასე წარმოიღვინეთ, იქაც კი, სადაც მიწის გადაცემა შეუძლებელი იყო არსებული წესწყობილების

ძალით, ეკლესიამ შემოიღო რომის უფლება, რომლის ძალით მიწა თავისუფლათ გადადის ერთი მფლობელიდან მეორეზე. ამ მხრით ეკლესიამ მეტათ რევოლუციონური როლი ითამაშა ძველი წესწყობილების გაუქმებაში. ქვეყნობა ამ გარემოებამ იქამდის გაიტაცა სასულერო მფლობელნი, რომ ისინი არ შედრდნენ და ეკლესიის კეთილისმყოფელთ პირდებოდნენ საუკუნო ნეტარებას და ვინც არაფერს წირავდა, აშინებდნენ საუკუნო ტანჯვით. მოიპოვებოდნენ ისეთი გულუბრიყვლონიც, რომლებიც მათ უჯერებდნენ, უარს ამბობდნენ თავის მამულზე და შეიღებეს ტოვებდნენ უმიწა-წყლოთ⁷⁾. აი ასეთი იყო დასავლეთ ევროპაში სხვილ მიწათმფლობელობის აღორძინების პროცესი. თუ როგორ განხორციელდა იგი ჩვენში, ამის შესახებ, როგორც ზევითაც ვამბობდით, არა გვაქვს ცოტათ თუ ბევრათ გარკვეული ცნობები. დანამდვილებით უნდა ეთქვათ მხოლოთ ის, რომ ეს პროცესი ჩვენში ბევრათ არ განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპისაგან, ვინაიდან მამულის შეწირვის, კვალს ეკლესიისათვის სულის საოხათ და საცხონებლათ ჩვენშიაც უძველეს დროიდან ვხედავთ; აკრთევე სამსახურისათვის მამულის ზოდებას. არა გვაქვს ცნობა პირველ ხანებში მხოლოთ იმის შესახებ, როცა წვრილი მესაკუთრე მფარველობისათვის უთმობდა სხვილ მფლობელს მესაკუთრის სახელს, თუმცა შემდეგში ამის ნიშნებსაც ვპოულობთ. ყოველ ექვს გარეშეა ის გარემოება, რომ მეშვიდე საუკუნის ბოლოს და მერვეს დასაწყისში ჩვენში საკმარისათ განვითარებული სახე აქვს მიღებული სხვილ მიწათმფლობელობას, როგორც საეროს, ისე საეკლესიოსაც, და წვრილი თავისუფალი მიწათმფლობელობა, ანუ თავისუფალი გლეხოზა მოსპობის გზაზეა შემდგარი, თუ კიდევ სულ გამჭრალი არ არის⁸⁾.

აქ უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ სიტყვა გლეხი ჩვენ პირველათ გვხვება „ქართლის ცხოვრებაში“ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, სახელდობ მეფე ვახტანგ გორგასლანის დროს (446—499 წ. ქრისტეს შემდეგ) და ისიც არა ჩვენი ქვეყნის შესახებ, არამედ უცხო ქვეყნის, რომელსაც ეწოდებოდა ჯორჯანეთი. „პირველათ მივიდნენ ჯორჯანეთს და წარმოტყვევნეს... და ამიერიდან იქმნეს ჯორჯანის გლეხთ, რომელნი აწ არიან მეხევარენი სპარსთანი“⁹⁾ თუმც ეს ცნობები ეკუთვნის უცხო მხარეს, მაგრამ ყოველ ექვს გარეშეა, რომ გლეხებათ იწოდებოდნენ ისინი, ვინც ჩვენ ქვეყანაში იმ დროს მიწის მუშაობას მისდევდნენ. როგორი იყო იმათი მდგომარეობა იმ ხანებში, ჩვენ ამის შესახებ თითქმის არაფერი არ ვიცით; შეგვიძლია ვიფიქროთ მხოლოთ, რომ გლეხები ამ დროს უკვე იხდდნენ ბევარას, ე. ი. იყვნენ მეხევარენი. მაგრამ ცხადია, რომ ეს კადევ სრულებით არ ნიშნავდა ბატონ-ყმურ დამოკიდებულებას, რომლის უტყუარ ნიშნებს ჩვენ მხოლოთ შემდეგ საუკუნოებში ვხედავთ.

უწინარეს ყოვლისა მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგ ცნობას, რომელსაც ვპოულობთ „ქართლის ცხოვრებაში“: „ხოლო ცოლმან მისმან (მეფე არჩილ II-ზეა ლაპარაკი, რომელიც იწამა) მიუბოძა სოფლები მათი, რომელთა მიიღეს გვამი წმიდისა არჩილისა, კახეთს ბინა, სამკვიდრებლათ მათდა.“¹⁰⁾ ეს ცნობა ეკუთვნის მერვე საუკუნის დასაწყისს, სახელდობ 718 წელს. აქ ჩვენ ვხედავთ პირველი მაგალითს სოფლების ჩუქებისას, რომელიც დატულია ძველ ჩვენ მატიანებში. ეს მაგალითი ამტკიცებს იმას, რასაც ჩვენ ზევით ვამ-

³⁾ М. М. Ковалевский. Экономический ростъ Европы до возник. Кап. хозяйств. т. I, стр. 408.
⁴⁾ С. 338.
⁵⁾ ibid 389.
⁶⁾ ibid 392.

⁷⁾ ibid 405.
⁸⁾ საინტერესოა, რომ რუსეთში სხვილი მიწათმფლობელობის კვალს, თავადების, მთავრების და მონასტრებისას. ვპოულობთ მხოლოთ მეათე საუკუნიდან. რაც შეეხება რუსეთის გლეხოზას, მას მხოლოთ მეთექვსმეტე საუკუნის შემდეგ ვეარგება საკუთარი მიწა.
⁹⁾ იხ. «ქართლის ცხოვრება», გამ. ბ. ჭიჭინაძისა, გვ. 194.

იმ თავდაზნაურთა შეილებითვის, რომლებიც 1902—1903 წლის განმავლობაში უნდა იქნენ მიღებული სახელმწიფო ხარჯზე კადეტთა კორპუსში, გამოცდა მონდება თფილისისა და კავკასიის კორპუსებში 26 აგვისტოს.

თფილისის გუბერნიის უფროსი საქარხნო-საფაბრიკო ინსპექტორი აცხადებს ქარხნებისა, ფაბრიკების და სხვა სამრეწველო დაწესებულებათა ხატრანების საყურადღებოთ: თფილისის სამინისტროს სამრეწველო განყოფილების განმარტების თანახმით, ვაუწყებ თფილისის და თფილისის გუბერნიის სამრეწველო დაწესებულებათა ხატრანებს, რომ მცირე-წლოვან მუშათა შესახებ კანონს (მრეწვ. წესდ. მე-107—121 მუხ.) ძალა აქვს კავკასიის იმ გუბერნიებშიაც, სადაც საქარხნო ინსპექცია მოქმედებს; ამიტომ ვთხოვ ქარხნებისა და ფაბრიკების ხატრანებს ამ ცირკულარის გამოცემის დღიდან ორი თვის განმავლობაში იხრუნონ და ასრულონ ამ მუხლებში აღნიშნული მოთხოვნები და ამავე ხნის განმავლობაში წარმომადგინონ დასამტკიცებლათ მცირე-წლოვან მუშათა ქარხნებში ცხოვრების წესრიგი. მცირე-წლოვან მუშათა წესდებით 12—15 წლის ბავშვები ითვლებიან.

სუთშბათს, 1 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე რკინის გზის სახელმწიფო ნაძალადეგო დაბრუნებულ მუშებს შეხვედრით სახელმწიფო მისამართებით, ლითონის ჩამოსასხმელ განყოფილების უფროსის თანაშემწე ვილჰელმ ზლატო და ბრიგადირი ვასილ ერეშევი. მუშებს რაღაც უსიამოვნება ქონიათ იმათთან, რის გამოც შელახვაკბულან და ზლატოსთვის ჯახებით ისე მიძიმეთ უცემით, რომ მიხედის საფათოფოთში გავსავნის დროს გრძობა დაკარგვია და გზაში გარდაცვლილა. ერეშევს დროზე დაუწყევია თავი ჩხუბისათვის და გაქცეულა. გამოძიებას უკვე შეუდგან.

სამკურნალო დეპარტამენტმა დაავალა კავკასიის გუბერნატორებს, ეცადონ გააგრძელონ ხალხში ისეთი წიგნაკები, სადაც გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი იყოს აღნიშნულნი.

თფილისის საბადონო სასაფლებელში მისდები ეგზამენები დაწინაურდა 26, 27 და 28 აგვისტოსათვის. თხოვნებს მიიღებენ მხოლოდ 20 აგვისტომდე.

თფილისის რეალურ სასწავლებელში მისდები და კლასიდან კლასში გადასასვლელი ეგზამენები მოხდება: 22, 23, 24, 26, 27 და 28 აგვისტოს. ახლათ შემსვლელთაგან თხოვნებს სასწავლებელი მიიღებს 22 აგვისტომდე. ვაკანსიები წელს არ არის 1, 2 3 და 6 კლასებში. სწავლა დაიწება 31 აგვისტოს. წელს სწავლის ფასი რეალურ სასწავლებელში გააღიდა და 65 მანეთი გახდა.

გამოვიდა სემარევილი ურნადის „კუკულის“ მე VII და მე-VIII ნომერი და დაურვიდა ხელის მომწერთ.

კორესპონდენცია.

დ. სურამი. ჩვენ საზოგადოებას ჯერაც არ დავიწყებოდა შემახში მომხდარი უბედურება და იმდენა ადამიანთა მსხვერპლი, რომ მეორე შემთხვევამ უფრო დააღონა და ჩააფიქრა—15 ივლისს ცხინვალს ცენტრი წაიკიდა, გადაბუკა ნახევარი სოფელი და მრავალი ოჯახი უსახლკაროთ და უსარჩოთ დარჩა. მაგრამ ჩვენი საზოგადოება (სხვა შემთხვევებში თუ არა), ასეთ დროს აქტიურ მონაწილეობას იღებს საქმით თუ სიტყვით. როგორც ვიცით, უბედურების მეორე დღეს გორში შედგა საზოგადოება გაიმართა ხელის მოწერა და წარმოითქვა ის აზრი, თუ რა წყრო გამოეძინათ დაზარალებულთა სასარგებლოთ. კერძო შემოწირულებანიც ბევრი იყო. და ასეთ დროს ჩვენ განა ვუძინავს? არა და არა!


ამ მხრივ სურამელებიც შეუერთდნენ საერთო გასაჭინს და მოხმობათს, 24 ივლისს, ახალ თეატრ „სან-რივალში“ ცხინვალში დასარალებულთა სასარგებლოთ გაიმართა სასერიო ცენტრი და წარმოდგენა. წარმოდგენაში მონაწილეობას ებუღებოდნენ გ. კუჩუაშვილი და ს. ჯანაშია და სო, და კიდევ რამდენიმე ქუთაისის არტისტი, ბაღში ხალხის ტყვას არ იყო, დიდი თუ ხატარა, ქალი თუ კაცი, დარბი თუ მდიდარი, სოფლები თუ ქალაქელი ფუტკარივით ირეოდენ და გავლას გასაჭირი იყო. უკრავდა სამხედრო მუსიკა და საზანდარი. გამართული იყო აკრეთვე ფეიერვერკი. 9 საათზე დაიწყო წარმოდგენა. ბირველათ შესნიშვილმ რუსულათ წაიკითხა „შეშლილის წერილები“ გოგოლის. მაგრამ, საუბედროთ ჩვენდა, ანავითარი წესიერება თეატრში არ ეოფილა. ხალხით სავსე თეატრში ნმურობა ატყდა ფარდის ახდის დროს და ასე ბოლომდინ გასტანა, ასე რომ შესნიშვილის სიტყვები ნახევარი ვერ კავიგანეთ; ამას თავი დაფანებოთ „სკანდალიც“ კინადამ დატრიალდა. ერთ დამსწრეთაგანს სკამის ნომერი შეცვლოდა და სხვისი სკამი დაქვირა, მოვიდა ერთი „ტრანსტიანი“ ვაჟ-ხატონი, მართო ისეთი დრიალ-ტრიალი, რომ საზოგადოების ყურადღება ამ მხურობამ მიიზერა და ზოგი მიშისკან გარედან გავარდა.

შესნიშვილის თამაშობამ (როგორც მოსალოდნელი იყო) დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. უნვათ დაჯილდოვეს ტაშის კვრით და „ვასის“ ძხილით და რამდენჯერმე გამოიძახეს, შემდეგ რუსულათ თავის ბრალა“ (ვოდ. 1 მქ.) თამაშობდენ: ქ-ნი კარგარეთელ ასრულებდა კარკაიას როლს. და ვ. გუნიას სმელსკის როლს კარვით შეასრულა თავისი როლი გუნიამ, კარგი იყო აკრეთვე ქ-ნი კარგარეთელი, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, მის დაზარაკს და მიხვრა-მოხვრას გადამტკება-ძაღდატანება ეტყობოდა. შემდეგ წარმოდგინეს ქართულათ „ადვოკატთან“. (ვოდ. 1 მქ. ვ. გუნიასი). ადვოკატის როლს (გამრელები) ასრულებდა დათოშვილი, რომლის თამაშობამ აღტაცებაში მოაყვანა დამსწრნი. დასარჩენი არტისტები ხომ ჩინებულათ თამაშობდენ... ასე რომ, წარმოდგენამ კარგი შობაქტილეობა მოახდინა საზოგადოებაზე, შემოსავალი მოსალოდნელზე მეტი დარჩა.

კვირას, 28 ივლისს „სან-რივალში“ კიდევ გაიმართა ქართული წარმოდგენა თფილისის დრამატიულ დასისკან ვ. ს. ალექსი-შესნიშვილის გამკობათ და მ. სვიმონიძის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნა „კრეჩინსკის ქარწილი“ (კომედია 3 მქ. სუხოვოკობილინისა, თარგ. ა. დუდაძისი). რასხვეუგის როლს თამაშობდა ვ. ალექსი შესნიშვილი, კრეჩინსკის სვიმონიძე, შემდეგ „დუელი“ (ვოდ. 1 მქ. კადმ. ნ. კალუსტავის მიერ) ადვოკატის ფასი 40 კან.—2 მ. იყო. საზოგადოება ბლომით დაესწრო. ჩვენი მისხიობი შესნიშვილის თამაშმა ჩვეულებრივ დიდი შობაქტილეობა მოახდინა. ორშაბათს, 29 ივლისს, იმავე ბაღში გაიმართა კანცერტი ბრიუსელის კანსერვატორიის მუქიანურ დ. დავითიანტის მიერ სხვა მოყვარულთა მონაწილეობით. აქც ბევრი დაესწრო საზოგადოება. როგორც ხედავთ, სურამს ეტყობა სინცხლეს-მხიარულება და ამდენი წარმოდგენები ახალი მოფლენას მთელ მის არსებობაში.

როგორც სიტყვა სამკითხველს და სკვირავ სკოლის შესახებ.

14 ივლისს მოხდა სამკითხველს წევრთა კრება დ. ბუბია-შვილის თავმჯდომარეობით. ამ კრებაზე რამდენიმე წევრი კიდევ მოემატა და წევრთა რიცხვი სულ 50-დუ ავიდა. კრებაზე ის სკიოთნი იყო წამოყენებული, თუ როგორ უნდა გაუმჯობესებოთ დარბი სამკითხველს მდგომარეობა. ამის შესახებ ეველას წევრებმა განცხადეს რიგინათ და სინდისიერათ მოკვიდნ საქმეებს, ზოგიერთებმა მაშინვე შემოიტანეს საწევრო ფული და დასარჩენებმაც ახლო ხანში აღუთქვეს ფულის შემოტანა. 23 ივლისს მოხდა მეორე კრება, რომელზედაც ამოიჩინეს ბიბლიოთეკის გამკება: კომიტეტის თავმჯდომარეთ—გ. დიდებულისე, ამხანაგებათ: დ. ციციშვილი და დ. მურმანიშვილი. ბიბლიოთეკათ—კ. ნებეტიძე (უკვამპირათ) და ბიბლიოთეკის ხაზინადრათ—ა. სორავა, რომელიც 4—5 წელი



სამკითხველს განაკეთებს და ამ შიგნით დიდი მადლობის დიხსია. ამავე კრებაზე დაუბრუნებულ იქნა კონტროლი, რომელიც, ჩემი აზრით, საჭირო არ იყო, რადგან ამ სამ კაცსაც შეეძლოთ კონტროლიორობა.

ესევე კრება მით არის შესანიშნავი, რომ ბირველთა წამოყენებულ იქნა კითხვა საკვირაო სკოლის დაარსების შესახებ. ეს შეტყობის სიმბაჟიური საკითხია, რადგან სურამელ გლეხთა შორის ასევე სამა არ იცის წერა-კითხვა და თუ წერა-კითხვა ეცოდინებათ ეს ხომ დიდი ბიჯი იქნება ბრძოლისთვის გზაზე. ამ საკითხს კრება სინამდვილეთი მიიკვება. შემდეგ წარმოითქვა ის აზრი, შეიძლება თუ არა საკვირაო სკოლის გახსნა, რა დამატებები მიზნები იქნება, აქაური გლეხები როგორ შეეძლება ამ სკოლას, აქვთ სურვილი წერა-კითხვის შესწავლის, თუ არა?—ამის შესახებ ერთმა მსწავლეებმა შემდეგი ცნობები მოიყვანა:—მარშან სკოლაში 60 მოწაფე იყო, წელი კი 140-დო თხოვნა შემოიტანეს და უაღვილოების გამო 70—უკან გააბრუნეთ. ამ თხოვნების რიცხვი ნათლად გვიხატავს, რომ სურამელ გლეხებს სწავლის წვერული აღძრული აქვთ და ყოველივე ეჭვს კარგა, რომ საკვირაო სკოლა იქნება მათი იმედების განმარტოებელი დაწესებულება. ერთმანთ გადაწყვიტეს საკვირაო სკოლის დაარსება. შეადგინეს ოქმი და შინაურულათ ხელი მოაწერეს. ესღა უნდა ამოერჩიათ ამ საქმის მოთავე კაცი. დასასყდეს ღვ. ციციშვილი, მაგრამ მან უარი განაცხადა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. შემდეგ ამოერჩიეს ღვ. ა. ბუბაშვილი და ოქმი გაიგზავნა დასამტკიცებლათ სადაც ჯერ არს. დაწმუნებული ვართ, ცოტა ხანში სურამელისკენ გვექნება საკვირაო სკოლა, თუ ღვ. ბუბაშვილი ენერგიულათ მოეკიდება ამ საკეთილ საქმეს, რისც სრული იმედი გვაქვს. თუ ნება დართეს საკვირაო სკოლის გახსნის, მაშინ საჭირო წიგნების შესაძენათ გაიმართება ბავშთა სასკოლო სადამო. საკვირაო სკოლა იქნება ზამთარ-ზაფხულ. მუდმივ მშრომელათ ეყოფა ეს ორი მდგელი, ხუთი მსწავლეებელი მოუთმენლათ ველადებით ნება-რთვას.

დ. ქარცივაძე.

აშუთისი. უფიქრი საერთო მოთხოვნილება, როგორც საზოგადო მოვლენა—რომელიც საკადრის დაკმაყოფილებას ვერ მოულოდნის, უსათუოთ რაიმე ბორცტ-მოქმედებით იქცევა; უფიქრი კერძო შირი, როგორც წვერი საზოგადოების და ამ კავშირებულ და დაკმაყოფილებულ მოთხოვნილებათა მატარებელი ათას გვარ ბორცტების და ბორცტმოქმედების მსხვერპლი ხდება. ეს თუ ასეა საყოველთაოთ, კერძოთ ჩვენი სოფლებისა და მათი კავშირებულ და დაკმაყოფილებულ მოთხოვნილებათა შესახებ ყველასათვის თვალსაჩინოა, ვინაც ერთხელ მაინც კი გაუფიქრია სოფლათ. ავიდეთ თუ გინდ ხალხის ჯანმრთელობა, ავადმყოფობა და მისი წამლობა. დღემდის თუ ჩვენი ხალხი ექიმსა და მეცნიერულ წამლობას ეტკვის თვალთ უფურცდა, თავის უმეტრებით და თანაც შეუძლებლობით გაურბოდა მას და ერთათ ერთ თავშესაფარს სოფლის „მარხიელში“ მოულოდნა, დღეს სამაგეროთ ექიმი და აფთიაქი მისთვის სასატრელათ ემხდარა. მისი მოთხოვნილება და შეგნება ამ მოთხოვნილების მეცნიერულ წამლობით დაკმაყოფილების ერთობ გაიზარდა, მაგრამ ამავე დროს მას არა აქვს იმდენი შეძლება, რომ ეს კავშირებული და შეგნებული მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს ისე, როგორც აუცილებლათ საჭიროა. მაგალითათ, ექიმი მოიყვანოს და წამლები გამოიწეროს. ბირველიც და მეორეც სოფლის უმეტრებისთვის თითქმის შეუძლებელია და იშვიათი მათგანი კაბედავს ექიმის მოყვანას (რომელიც ზშირათ 20—30 ვერსტის მანძილზეა და ექიმი ამოღენა მანძილზე 30—40 მანუთ ნაკლებ ფესსაც არ გადაადგამს; განსაკუთრებით ჩვენი ქუთათური, უკვე ძალზე გამძლარი ექიმები *) და ისიც

*) თუმცა მათ შორის ისეთებიც მოიძებნება, რომლებიც ამოღენა მანძილზე ზშირათ უფრო იაფათ და მასთან ნისიათ მიყოლიან. ესეც დიდი შედეგიათა სოფლისთვის.

შროლოთ მაშინ, როდესაც ავადმყოფი სიცოცხლეს უნდა გამოეუბნოს. მაგრამ ავადმყოფის წამლობა, როგორც აუცილებელი მოთხოვნილება—ასე თუ ისე დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს. რაიმე მიზეზების გამო სოფლებშია კი და რადგანაც ნამდვილი წამლობა—ქიმიკალია აფთიაქის წამალი უმრავლესობისთვის ხელ მიუწოდებელია, ამიტომ სოფლებიც ხდება მსხვერპლი სხვა-და-სხვა ბორცტმოქმედებისა. ამ კავშირებულ მოთხოვნილებას სოფლის „მარხიელმა“ მიაქციეს ყურადღება, დროის შესაფერათ იმათაც დაკოვეს ბანქა და ლობიოს მარცვალი, ფერი იცვალეს და „სოფლის გშირებათ მოხანთლენ“. გამაქვთ აფთიაქიდან ერთი თავი ისეთი წამალი, რომელიც, რასაკვირვლია, ურეტრებით იყიდება და კაცს არ მოკლავს, შემდეგ ურეტრშიც თავის მომზადებულ რაიმე ბალანის წვერს, ლესვენ რადაც ქვას და ამხანათ ამზადებენ ღმერთმა უწყის რას, რაც მოხჩენის მაგიერ ზშირათ ავადმყოფის საიქიოსკენ ისტუმრებს. ეს „გაქვამებული“ უფიქრი „მარხიელი“ უმეტრესათ იმით იხილვენ ხალხს, რომ მათი შემზადებული წამალი თითქო აფთიაქის არის და ნამდვილი „ღლაზნი“ ექიმის გამოწერილია, თანაც იაფი. ხელმოკლე სოფლებიც ზეტის მანანსავით ეწაფება ასეთ იათს და „ნამდვილ აფთიაქის“ წამლს, ეიდულობს მთელ ჩარქიანს ბოთლს და მიაქვს შინ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ (სამი თვის წინათ), რაც დ. ხალხის მხლობელ სოფლის ერთი მცხოვრები განდა მსხვერპლი ასეთი ჩარქიანს, სოფლას გშირის წამლისა, საცოდავი მომაკვდავის ევრილი ქვასაც კი აატირებდა. წამლმა ავადმყოფს კუჭი დაწვა და ანთება გაუჩინა; ძლივს რომ ინძრეოდა, ისეთი ავადმყოფი ცაცოფიული ღოგინიდან წამოფარდა და სახამ კათავდებოდა თავს და ზირს იმტვრევდა, ამ ხანათ სიღარბემ და ამ სიღარბით მოსარტებუ სოფლის ექიმმა ხუთი ბავშის ზატრინი, ღვასის მარჯვენა სიცოცხლეს გამოასლამეს. განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც სოფლათ ციებ-ცხელება მძვინვარებს, სოფლის ექიმები ბევრს მსხვერპლს ისტუმრებს საიქიოს. აი ერთი მაგალითი ასეთი მსხვერპლისა, რომელიც სულ ერთი ვვარა არ არის, რაც მე ჩემი თვალთ ვხანე. ივანდიდელი გლეხი მინაკო მაშინამეილი, რომელიც ზამთარში ჩაყოლილი ციებით ამ ზაფხულშიც გამხდარიყო ავით, დებულობს ვიდრე „ექიმი ქალისკან“ ათ ზანამოკ ქინას ერთათ, რომელმაც საცოდავი სიკვდილს მიაყენა, ამ ზანანამეილი სინებში საბანს ვერ იცილებდა ისე გაეციებია უზომო ქინას. ხანელმა ექიმმა, რომელიც გვიან მოიყვანეს, ძღვანს საეჭვოთ დაინახა მისი მოხჩენა. ასეთი მაგალითების მოწამე ჩვენი ექიმები, რომ საერთო ძლით (მარტო წმინდა კომერციულ მოსარტებით) რაიმე საშავლებას მიაწვდიდენ ჩვენს სოფლებს, ეს არამც თუ ხალხს წაადგება, მათ ჯიბასაც შემატებს შემოსავლს. მარტო ისეთი ცნობების გავრტელება ხალხში, რომლებიც ენება უბრალე წამლების (როგორც ქინას მაგალითათ) ხმარებას რათ დიხსი?

Parole.

მ. ბათობი. ბირველ ავგისტოდან დაიწეებს მუშაობას რისნერის ქარხანა, რომელშიდაც სამ წელიწადზე მეტია, რაც მუშაობა შეჩერებული იყო, ახლა ეს ქარხანა შეიუიდა მანთაშევის და ამს. ფერმამ. როგორც კადმოგვეც, ქარხანაში 400—500 მუშა იმუშავებს. ამ ხანობით 150 მუშა მიიღეს, დანარჩენებს შემდეგში შეავსებენ, როცა ქარხნის ყველა კანუფილებები დაიწეებს მუშაობას. ეს მოვლენა სწორეთ სულზე მისწრება არის იმ აუარებელ სამუშაოს მამებარათავის, რომლებითაც სავსეა ბათობი. მათი რიცხვის გამრავლებას ხელი შეუწყო შარშანდელმა მოუსავლობამ გურიაში. ახლა გურიაში ფუთი სიმინდი მანუათ ფასობს და ისიც ნახევარი მიწაა. წარმოადგინეთ სიღარბისკან წელში კატქილი გლეხი, რომელსაც ათი-თორმეტი სული საჩენი ვავს, სად იშოვნოს მან სიმინდის საუიდელო ფული, რომ ცოლ-შვილი სიმშილით არ დაეხტოს? სოფელში ყველა მასავით გაჭირებულია. დარჩა ქალაქი და აი ისიც აქ მოეშურება, იქნება ორიოდე კრამები ვიშოვნო საყოთარა ძღვანს

გაუიღვითა, მარა ამის შიგნით გარდა. ასეა უბრალოდ მუშასაც არ დებულა. მას კი აქ არაფერ იცნობს, რამ უბრალოდ გაუკეთოს.

ზირველათ ხმა დაერქეს, რომ ქარხნის გამა ბ. ხითარავი ქართველ და სომეხ მუშებს არ დებულა, მას დაბარებული ყავს თათრები და ბერძენები. ამ ხმამ მეტათ დადინა ქართველი მუშები; საბედნიერათ ეს ხმა არ გამართლდა, ჯერ მანც მიდებულ მუშების უმრავლესობა ქართველებია.

ამ ნაირათ თუმიცა-და შარშან ცოვინაგვის ქარხანა დაიკეტა, მაგრამ სამაგიერათ წელს რინხერისეული ქარხანა აშუშავდა.

ქალაქის ახლათ აკებული საავათმოფო ზირველ აგვისოლოში უნდა განსილიყო, მაგრამ მოწეობა ვერ მოასწრეს და ამიტომ ზირველ სეკტემბრისთვის გადადგეს. უფრო ექიმათს მოწვიეს ნეტურ-ბურგიდან ქირურგი ფინიკენშტეინი, მის თანაშემწეთ დანიშნეს ბ. ტრიანტაფილიდესი, ხელთ ორდინატორებათ სისანიტარო ექიმი ბ. მხეიძე და ექიმი ქალი კოკანი. ბ. მხეიძის ადგილზე ბ. შტილცოვი დანიშნეს.

რენეგატი.

რუსეთის ცხოვრება.

გზათა სამინისტროში ადირა კითხვა იმის შესახებ, რომ სსკირთა შემოდებულ იქმნას რომალებზე მომუშავეთა სავალდებულო დაზღვევა, დაავათმოფოების და სიკვდილის შემთხვევებისათვის რომალების ხატონების ან სე-ტეის შწარმოებულთა ხარჯით.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა გადაწვიტა გამეცხადოს ურნად „Хозяинь“-ს ზირველი გაფრთხილება, № 26 დაბეჭდილ „На злору дня“ სტატიის გამო.

— ქ. რიანში მოქმედ სახალხო გასართობების საზოგადოებამ მიმართა ფინანსთა მინისტრს თხოვნით, რომ გადაეღა 12 1/2 ათასი მანეთი ქალაქ რიანში სახალხო თეატრის ასაგებათ. ეს თხოვნა გადაეცა გ. სისანიტარო სახალხო ფიზიკობისათვის მხრუნველი რიანის საგუბერნიო კომიტეტს. ამ უკანასკნელის აზრით საგანგებო შენობის აკება გამოიწვევს ხალხისათვის ხშირათ წარმოდგენების გამართვას, ეს კი არაა სასურველი, ამიტომ სახალხო გასართობების საზოგადოების ხსენებული თხოვნა უუარადღებოთ იქნა დატოვებული.

— თებერვალში მომხდარ არეულობის გამო სტუდენტები და ტუსადებული იყვენ ქ. სიმლეისკის სტუსადოში. 22 ივლისს უმაღლესი ბრძანებით სულ უკვლა განთავისუფლეს. დღის ათ საათზე სტუდენტების კამერაში მოვიდა გუბერნატორი და ზირდათ გამოეცხადა უმაღლესი ბრძანება. რის შემდეგ სტუდენტები მაშინვე განთავისუფლეს.

— 21 ივლისს, სსკრეში, სსხელისნო გამგებების ბინაზე მთავრობის ნებართვით შეიკრიბენ მკერვლების ამქრის ქარგლები, რომ გამოერკვიათ ათ საათის სამუშაო დღის შემოდების შესახებ კითხვა. კრებამ შექარგლე დურგლების მიხედვით დაადგინა ამოიჩინოს კომისია მკერვალ ქარგლების მდგომარეობის გასუმჯობესებლათ. კომისიის მიეცა უფლება: 1) თხოვას გუბერნატორს ათ საათის სამუშაო დღის შემოკლება, თანახმათ მრეწველობის დებულების მე-341 მუხლისა რომელიც შეეხება სამკერვლო სსხელისნოებში სამუშაო დღის განსაზღვრას. 2) ადვენოს თვალ-ყური, რათა გუბერნატორის მოსალოდნელი განკარგულება შესრულებულ იქმნას, 3) გამოიკვლიოს ქარგლების ყოფა-ცხოვრება სსკმლის, ბინის და სხვა ზირების მხრივ. კომისიაში არჩეულია ხუთი კაცი.

— ვილნოს სამოსწავლო სამხრუნველთა მოუვიდა განათლების დეპარტამენტის გადაწვიტა, რომელითაც ფილიპოვის მიერ შედგენილი ენციკლოპედიური ლექსიკონი აღიარებულია სახალხო ბიბლიოთეკებისათვის მხენე წიგნათ.

— სამხრეთ-დასავლეთის რეინის გზების მართველობამ ზოგაერთ ნაჭრებზე შემოიღო მე-IV კლასის ვაგონები. სსხელათ მე-

მოიღეს მხელათ ერთ ნაჭრზე—კიევიდან ოდესმდე. რადგან ეს ცდა მეტათ სიძულე აღმოჩნდა, დასარჩენ ნაჭრებზე შემოიღეს სსენებული ვაგონები. მეოთხე კლასის ვაგონების შემთხვევაში ლი რეინის გზას დაჩნა ნახევარი მილიონი 1901 წ. განმავლობაში და ამავე დროს მე-III კლასით მოგზაურების რიცხვმა არამეტო არ იკლო, საგრძობელათ იმატა. ამნაირათ რეინის გზა დაწმუნდა მე-IV კლასის ვაგონების სარკებლობაში და ახლა საგანგებო ვაგონებსაც აკეთებებს.

— ოცდა ცხრა ივლისს ბორატ-გამზრახველს უნდა მოეკლა ხარკოვის გუბერნატორი თ. ობოლენსკი, რომელმაც თავი იჩინა ვისი სხვა-და-სხვა ზომების მიდებით გლეხების აჯანყების ჩაქრობის დროს. აი ტევეგრამა რას გვეუბნება. თავადი თავის ნაწნობოთან ტივოლის ბაღში დასეინობდა და გუბერნატორის ლოქსათან განერდა; ამ დროს ვიდაც უნობმა, რომელიც მიუხლოვდა გუბერნატორს ორ ნაბიჯზე, ესროლა რევოლვერი; თავ. ობოლენსკის არა დაუშავა რა, მხელათ გააწრა კისერში. ამ დროს გუბერნატორის გვერდით მდგომმა, საგუბერნიო საერობო გამგებების თავმჯდომარის გორდეენკოს მუედელემ ბორატ გამზრახველს ხელი სტაცა ხელში; გავრდა შეორეთაც; მაშინ მოცვივდა სხლხი და ხოლიციელები და დამნაშავე შეანერეს; სხვათა შორის ხელი სტაცა ხოლიციელებისტერმა ბესსონოვმა. ბორატ-გამზრახველმა კიდეც ორ-ჯერ გაისროლა და ერთი ტყვიით დაჭრა ხოლიციელებისტერი ფეხში, მუხლ ზევით, ტყვია მეორე მხარეს გავიდა. დაჭრილს იმ წამსვე შემწეობა აღმოუჩინა ბაღში მეოფმა ექიმმა, შემდეგ საავათმოფოში გადაიტანეს დაჭრილი; ფეხის ძვლები მთელი აქვს. დამნაშავე დატუსადეს. იმის ვინაობის გამომიებას შეუდგენ.

* * *

გინახავს სახე, მარად მქმუნვარე,
ზედ მომზირალი სევდის ბეჭელი
და ცხოვრებისა უკულმართობით
უდროო-დროთა მოხრილი ქელი?
გინახავს შუბლი, მთლათ დაღარული;
ზედ ძაძა-ფლოსათ სევდის ფარდები,
რასაც ვერ წვდება თვით შუქი მზისა
და ვერც ახარებს ია-ვარდები?...
გინახავს ნორჩი, ჯერეთ კაბუკი,
მარა ქმუნვისა ბუდეთ ქცეული,
კოკობი ვარდი, ის თომ-დაკრული
და მით სიცოცხლე გამოლეული?..
გიცი—ნახავდი, ნახავდი მაგრამ მის გულში
აბა, თუ ოდეს ჩაგინებდა
და საზოგადო ჩვეულების წინ
შენ ამით წასვლა გაგებედა?..
რომ ჩაგებდა, შენ იქ ნახავდი
მორევთ ქცეულ შხამ-სამსალასა,
სიმწრის ფილას, პირთამდე სავსეს,
იქვე უხმოთ მკვდარ ნიქს და ძალასა!.
მაგრამა რაი?—ქმუნვა და სევდა
თუ თვით არა გაექს გამონაცადი,
უამისოთ სხვის კვნესა-ტივილზე
უხმო და ყრუა კაცად-კაცი!..
და შენც, მათ შორის, მის მძიმე ტკივლს
ტანში ყრუოლითა გაექცევილი
და არცა სიტყვით, თვარა საქმით ხომ,
ვიცი, რომ არრას შეეწევილი!..

დ. თომაშვილი.

მ ა გ რ ა მ...

ამბავი S. Fritz-სა

— ეს როგორ, მეგობარო ალბერტ, მე კიდევ ვერა ვხედავ შენ თითზე ნიშნობის ბეჭედს? ვახსოვს როგორი გატაცებით ლაპარაკობდი ხოლმე ქორწინებაზე! ნუ თუ აზრი შეიცვალე?

— სულაც არა, ჩემო გიორგი, მე უწინდულათ „კანდიდატი“ ვარ „ქმრობაზე“ და არა ვტოვებ ერთ შემთხვევასაც, სადაც კი შეიძლება შევხვდე „საინტერესო“ ვისმის: დაბეჯითებით დავიარები ბაღებზე, საღამოებზე, უყურადღებოთ არა ვსტოვებ ყოველს, რასაც კი ლაპარაკობენ სიდედრებზე, თაიგულებში წელიწადში ეხარჯავ, სულ ცოტა, ორას მანეთს, ვყიდულობ ათასგვარ ძვირფასს საჩუქრებს; კი არ ვხარხარებ, არამედ გულდასმით ვისმენ ქორწინებაზე საუბარს და ხან მეც კი ვიღებ ხოლმე მონაწილეობას...

— და ყველა მაგებისდა მიუხედავათ, მაინც მიზანს ვერ მიახწიე? ქალიშვილები, მგონი რომ, უთვალავია, რომელთაც გათხოვება სწყურიათ! მაგ „ნაყოფის“ სიმცირეზე შენ, მაინც და მაინც, არ შეგიძლია სამდურავი: ხომ გაგიგონია: სურვილი იყოს, თორემ...

— დიახ მხოლოდ სურვილი... აი ხწორეთ მაგაშია ხოლმე ის ხლართი, რის შედეგათაც ამდონი უბედური ქორწინებაა ხოლმე! სულ მაგ „მარტო სურვილისა“ და აჩქარებით, გამოუკითხავათ ამორჩევსა. ერთიც ხედავ. ქალიშვილი და ახალგაზდა ყმაწვილი გაეცნენ ერთმანეთს სადმე საცეკვაო საღამოზე, ან შეხვდნენ ერთმანეთს სადმე აგარაკათ, ვაგონში,—ერთი ორი პირი გამოელაპარაკენ ერთმანეთს და მზათ გახლავან—საქმე გაჩარხულია: რიგიანათ ერთმანეთის ცნობა არც კი აქვთ, რომ უკვე ნიშნობის ბეჭედები მიაქვთ, დედელიც მიეშურება ჯვრის დასაწერათ და საბოლოოდ უკვე „თანხმობა“ გამოცხადებული. მაგრამ გაივლის ორი სამი თვე და, ერთს ის არ უვარგა, მეორეს ის არ უხდება და ამასთანავე გამოაშკარავენ იწყებს უსიამოვნო და საგრძობელი „შეცდომანი“ დაჩქარებული არჩევსა. მე რა მაშურებს. მე ფრთხილი კაცი ვარ, ჩემთვის ყოველივე და ყოველთვის მიძლინარობს უკვე დანიშნულ გზით და მეტოდით. ვიღრე მე ქალიშვილს მივცემდე სამუდამო კავშირის პირობას, გადავწყვიტე, გამოვიკვლიო ყოველივე დალაგებით. მივიხედ-მოვიხედო, კარგათ გავიცნო ის, ვისი მეუღლეთ აყვანა მსურს... აი, ხედავ ამ პატარა და მწვანე ყლიან უბის წიგნაკს? ამ წიგნაკს ყოველთვის თან ვატარებ და სახელათ დავარქვი „მაგრამ“. ყველა იმ ქალიშვილს, რომლის შერთვასაც კი დავაპირებ, ეკუთვნის ამ წიგნაკში ერთი ფურცელი; ფურცლის პირველ გვერდზე ჩაწერ ხოლმე კარგ და კეთილ თვისებებს. რომლებიც კი იმ ქალიშვილს აქვს მინიჭებული და ფურცლის მეორე გვერდზე კი იწერება ყოველივე, რაც მე არ მომწონს, რაიც ხელს მიცარავს ის ქალიშვილი შევიროთ. აქეთ კიდე ჩაწერ ხოლმე თვალით ნახულ და ყურ მოკრულ ამბებს. პირველი აქ ჩაწერილი იმ ქალიშვილთაგანი, რომლის ფურცლის „მაგრამის“ გვერდი სუფთა დარჩება და არა ჩაიწერება სამი წლის განმავლობაში, ატარებს ჩემ სახელს, უკეთუ თითონაც დამთანხმდა. ეს წიგნაკი ხუთი წელიწადია რაც მაქვს.

— და აქობამდე „უნაკლულოს“ ვერ შეხვდი?

— ვერა! მაგრამ მაინც განვაგრძობ ძებნას და არც იმედს ვკარგავ, რომ ვიპოვნი.

— მარად მრწამს, რადვანაც ჩვენში ღირსეული ქალები ბევრი არიან. მაგალითათ, ბერტა ვეგმანი რომ შეკერთო, რა უშავდა?

— ბერტა ვეგმანი? მომითმინე, ეხლა... ის ჩაწერილი მყავს ამ წიგნაკში, აგერ მე—16 გვერდზე: „კარგი ტანის,

ემზიანი და ცისფერ თვალბიანი, მოსიყვარულე და მოკრძა-ლული, მაგრამ...

— მაგრამ?

— „დედის ერთაა, დედაც ცოცხალი ყავს“

— და მერე რა არის?

— ოო, ძვირფასო რატომ არ გინდა გაიგო, რომ იმ-გვარ ქალიშვილის შერთვა არ ვარგა, რომელიც დედის ერთაა და ამასთანავე დედაც ცოცხალი ყავს. წარმოიდგინე, რომ გათენებდნენ შვალამედის ლმობიერი დედა ქალთან განუშორებელი იქნება; საერთო საუბარი ექნებათ, დაიწყებენ რალაც ჩურჩულს, ერთმანეთის წაქეზებას... ქმარი ამ გვარ შემთხვევაში მესამე პირათ ხდება ოჯახში და მარად საბრალოა იმისი მდგომარეობა.

— მაგრე?!... გეთანხმები; შენ სიტყვებში ცოტა რამ სიმართლეა. მაშ კარგი, აბა რა აზრისა ხარ, მითხარ, გეთაყვა, ღიზა რიხტერზე? იმას. მგონი, ექვს-ექვსი და-ძმა ყავს.

— კი, მაგრამ, საუბედუროთ, ღარიბია. ისიც ჩაწერილი მყავს: „ღარიბ ოჯახიდან, მცირე შეძენისა“.

— ჰო, მაშ შენ ქრთამიან ქალს ეძებ?

— სრულიად არა! ქრთამი, ეს როგორღაც ვხამუშება კიდევ სმენას; ქრთამზე სულაც არა ვფიქრობ, მაგრამ ცოლს რომ შევირთავ, მე არ მინდა ეხლანდელზე ნაკლებ ვიკნოვრო. ჩვეულებრივ ვსადილობ საუკეთესო რესტორანში, სადილზე სიამოვნებით ვიახლებით ერთ ბოთლ ღვინოს, ვწევ საუკეთესო სიგარებს და ამავე დროს ქუჩაში ეტლი მიცდის. მეორე კერძი სადილისთვის, მეორე ბოთლ სასმელისთვის, კამფეთისთვის, სიგარის მაგიერ და ყოველ მისთვის, რაც ცოლისთვის საჭირო იქნება,—თითონვე უნდა მოიტანოს ფული—მზითვათ, აი რა! ეს ბევრი არ არის.

— საზოგადოთ... შენ მართალი ხარ. მაინც და მაინც ჩვენ-ში მაგგვარ ღირსების ქალიშვილებსაც შეხვდები. ვინ დაგი-სახელო მაგალითად? ჰო, ედვიგა შტალი. ბანკში იმის სახელ-ზე შეტანილია 500 ათასი და სულ საუკეთესო მომგებიან ფურცლით.

— ედვიგა შტალი? გვერდი მე-22: „კონტა ტანი, მკრთა-ლი ელ-ფერი, ლამაზი კბილები“, მაგრამ... თვალის კბილი აკლია...

— და ე —მაგ ერთად ერთ ნაკლულოვანებისათვის!

— არა, აქ კიდე არის განმარტება: „შეცდომითა სწერს“. — ის ისრე სწერს, როგორ წერასაც შკოლებში აგერ ოცი წე-ლიწადია თავი დანებებს; იმ ქალიშვილს, უეჭველია, ან კაი ხანია რაც უსწავლია, ან კიდე სულ ცოტა უსწავლია. ერთიც და მეორეც არ არის სასურველი.

— ეჰა, შენ ყველას მეტის-მეტე სასტიკათ ეპყრობი. მაშ ერთს კიდე დაგისახელებ. ხომ იცნობ მაგდაფერნაუს, ან იქ-ნება იმის შესახებაც რამე გაქვს წიგნაკში ჩაწერილი?

— უეჭველია. მაგდა ფერნაუ; „ახალგაზდაა, ლამაზი მო-სიყვარულე“, მაგრამ...

— აბა რა?

— მაგრამ... „იმან ძილის დროს ხვრინვა იცის“.

— ახა, ღმერთო ჩემო! ეგ საიდგანლა იცი?

—მაგ ჩემთვის ინტერეს არ მოკლებულ გარემოების შეტ-კობისთვის ვუმადლი იმის შინა მოსამსახურე გოგოს.

— ხა, ხა, ხა!...

— რას იცინი! აქ საცინელი არაფერია: მე ძილი არ შე-მიძლია, როცა ჩემ გვერდით ვინმე ხვრინავს.

— ემაგრე რჩევით, ჩემო მეგობარო, შენ ვერასოდეს ვერ ეღირსები ცოლის შერთვას და სამუდამო „კანდიდატთ“ დარ-ჩები.

— სადარდელიც ცოტა იქნება ჩემთვის. მე ამ გარემოებაში-



დაც მშენებელია ვგრძობ თავს. ჩემი კანცელიარია ისრე მუშაობს, რომ მეტის სურვილიც არ არის საჭირო. ჩემ კლიენტების უმეტეს ნაწილს შეადგენენ „პაპაშები“, რომელთაც სურთ რაც შეიძლება მალე გაასაღონ თავიანთი ქალები. ყველა მათგანი ჩემთან მოდის შესატყობლათ, თუ როგორ მოდის მიდის ჩემი საქმე: დაათვალიერონ, ასწიონ, დასწიონ; და მოსვლისთვის საჭიროა რამე მიზეზი; ამიტომაც იგონებენ ჩემთვის როგორმე საქმეს და მაგით მე მხოლოდ მოგებაში ვარ. შენ რა უთანხმოების ნიშნათ აცანცარებ? რა თქმა უნდა, ყოველივე ამას თავს დავანებებ და უეჭველია, ახლო მომავალში, ამ კლიენტებს ახალგაზდა ცოლს ვამჯობინებ.

— მაშ არ დავაფიქსედე მაინც და ქორწილში დამბატიყე:

— უეჭველია! აბა რას დავიფიქსებ! მე თუ იმ ბედნიერ დღეს მოვესწარ, საქვეყნოთ დავიწყებ ყვირილს. ქორწილი უნდა გადავიხადო დიდის დიდებით: მთელი საყდარი უნდა კაშკაშებდეს, ორივე მხარეს ექვს-ექვსი მეჯვარე უნდა შედგეს, მოწვეული მეყოლება ყველა ჩემი მეგობარი და ამხანაგი, შამპანიურმა მდინარეებზე უნდა იდინოს...

— ვაშა! ეგ მაგრეც უნდა იყო. ვახშმის წეს-რიგის შედგენაში მოგეხმარები, მაგ საქმეში ცოტა რამ მესმის.

— ღმერთო ჩემო! ალბერტ, განა შენა ხარ? აქობამდე სად იმალეობდი. სულ ცოტა აგერ ოთხი თვეა, რაც არ მინახავხარ. იცი რა გითხრა? ხმა დადის ვითომც შენ ცოლი უკვე შეგიერთავს; მართალია?

— დიახ, მართალია.

— და ეგ როგორ, ქორწილში არც კი დამბატიყე? გახსოვს დაპირება?

— მაპატიე გეთაყვა, გიორგი, თუმცა ჩემი ქორწილიც ისრე უბრალოთ გადავიხადე, რომ არც არავინა მყავდა დაპატიყებული: ვიყავით მხოლოდ: მე, დედოფალი, დედელი და ორიც მოწამე.

— და შენ ერთხელაც არ მოხვედ ჩემთვის გეამბნა, როგორა ცხოვრობ, რას აკეთებ...

— დიდი ხანია შენი ნახვა მსურდა, მაგრამ, გარწმუნებ, სულ არა ნაქვს თავისუფალი დრო; ყელამდე საქმეში ვარ ჩაფლული.

— როგორ; ნუ თუ კიდე ბევრი კლიენტები გყავს? ეხლა ხომ „პაპაშები“ აღარ დაიარებიან შენთან...

— არა. ეხლა კლიენტები თითქმის აღარავინა მყავს.

— სამაგიეროთ, უეჭველია, შენი სიმამრი კარგი კლიენტია შენთვის.

— არა, საუბედუროთ, ჩემმა სიმამრმა დიდი ხანია შენი ქირი წილო. უბრალო ხელოსანი იყო, სულ ვიწროთ ცხოვრობდა და არც რამ ფული ქონდა. ჩემ დღეებს, ჩემო მეგობარო, ეხლა კანცელარიაში კი აღარ ვატარებ; ეხლა რედაქციაში ვმუშაობ, გაზეთებში ვთანამშრომლობ და კაი ფულებსაც ვიღებ. საღამოებით კი, როცა სახლში ვბრუნდები, ვაძლევ გაკვეთილებს, მხოლოდ სწვებს კი არა, არამდ ერთად ერთ მოსწავლეს, ჩემ მეუღლეს.

— შენ მეუღლეს?

— დიახ. ჰო, მართლა, შენ მგონი არ იცი. ჩემი სიდედრიც ჩვენთანა ცხოვრობს. ჩემი მეუღლე დედის ერთაა და იმოდენა გულქვაობა ვერ გამოვიჩინე, რომ ჩემი მეუღლე გამემორებინა გულკეთილ ბებრისგან. ასრე, გაკვეთილის შემდეგ ვახშობთ, შემდეგ მე კიდევ ვმუშაობ, დაწერილ ვასწორებ, ახალს ვწერ; შუა ღამემდი ვმუშაობ; ჩემი ცოლი დიდი-ხანიცაა ხერინავს და მე კი მაინც ვწერ...

— როგორ, განა შენმა მეუღლემ ხვრინეაც იცის?

— დიახ, მაგრამ ისრე სასიამოვნოთ და მელოდიურათ,

რომ მე ვერთობი ხოლმე კიდევ, როცა ყურს ვუვლებ.

— მე ძალიან მოხარული ვარ, ალბერტ, რომ შენ ბედნიერათ გრძობ თავს. ერთი კი ესეც მითხარი: „ქვეყნის მთელი უყავი შენი მწვანე უბის წიგნაკი, რომელსაც „მწვანე“ ერქვა.“

— ჰმ... დიდი ხანია მე იმისგან განვთავისუფლდი; ეხლა მეცნება კიდევ, როცა მოვიგონებ ხოლმე იმ სისულელეს. წინაკს რა ვუყავი? ის ქორწილის დღეს ვაჩუქე ჩემ მეუღლეს ზედ წარწერით: „ნაკლ ულოვანება—მიქარვა!“ შენ გეცობა? მაგრამ ცხოვრებაში თუ შეგვხდა არსება იმ გვარი მომხიბლავი და აღერსიანი თვალებიანი, როგორითაც ჩემი ელენაა დაჯილდოვებული, — გარწმუნებ, შენც ისრევე მოიქცევი, როგორც მე...

გ. ახალციხელი.

ზღვა (ლექსი პროზათ)

(გუჭვნი ღ-ს)

ზღვას მედგარს, ძლიერს, მოუსვენარს, მუდამ მღელვარეს, „კმაყოფილებამ“ დაუბნია ერთხელ დავთარა, ესტუმრა იმას, შიგ მის გულში მოიკალათა და ჩასჩურჩულა, შეაპარა ტკბილი სიტყვები:

„რა გენაღვლება—ასე უთხრა „კმაყოფილებამ“, — რატომ იწუხებ შე საბრალო აგრე ძლიერ თავსა, შენ რა დარდი გკლავს, რომ ქვეყანას წყალი სჭირა!.. შედექი ერთი, დაანებე თავი ღელვასა!“

ზღვას მოეწონა ეს სიტყვები და დაუჯერა, თვლემას მიეცა ყველაფერზე ხელ აღებული, დაწვა გულ აღმა, დედამიწას აქცია ზურგი, „კმაყოფილებით“ გულ გრილი და გაღალღებული... ის მძღარი და კმაყოფილი თავის ბედისა, რას დაგიღვდა ქვეყანას რომ წყურვილი კლავდა...

„კმაყოფილებავ“, შენ წელკაეო კაცობრიობის, მოსისხლე მტერო კეთილშობილთ გულის ტკივილთა, სატანის შეილო, მომწამელელო ჩვენი ცხოვრების, შავ ძალთა მიერ ამ ქვეყანათ წარმოგზავნილო, ღვთის დიდი მცნების—სიყვარულის—შესამუსრავათ, შენ დაავიწყე დიდებულ ზღვას დიდი მიზანი—დედამიწისთვის მიწვდინა სასმელი წყალი!

მიქრა სიცოცხლის ძრიამული ბედ შავ მიწაზე, ტიალ უდაბნოთ გადაიქცა ქვეყნიერება, არც კენესა მწარე უბედურთა, არცა ტირილი, არც სიხარული ბედნიერთა და გამაძღართა, არც წყვეა ჩაგრულთ, მწარე წყვეა სიძულვილისა, აღარც აღერსი ბედნიერი შეყვარებულის, ყურს არ ესმოდა არც ტიკტიკი უმანკო ბავშვის, არც ბოროტების გამაძღარი სიამოვნება... ზღვა კი გულ გრილი, თავის თავით კმაყოფილი ზღვა, კვლავ განაგრძობდა თავის თვლემას, უდარდელ ძილსა, ცას შესცქეროდა, ქვეყანაზე ხელ აღებული და დასცინოდა საცოდავი ქვეყნისა ქირსა.

ცოცხალი სიტყვავ, „კმაყოფილთა“ მოსისხლე მტერო, სად იყავ სადა დიდებულთა შევენებავ კაცთა, რომ არ აუწვი ზღვას სირცხვილით შუბლისა კანი?... ოჰ, შენ სიწითლე სირცხვილისავ, რა კარგი რამ ხარ, როგორ უნთება ცხოვრების კანს შენი პერანგი? განა შენ არ ხარ საძირკველი პატროსნების. შენ არ ანათებ სინიდისის სავალსა გზასა? კეთილშობილთა კენესის შემდეგ შენ არ გვეწვევი? შენ არ აწევხარ იძიმე ტვირთათ საუკუნეთა? შენ არ აშინებ და ძილს უფრთხობ ბნელეთის შვილთა? შენ არ ხარ შვილი, კარგი შვილი ცოცხალი სიტყვის?... და დააძინა რა დიდი ზღვა „კმაყოფილებამ“, შენ დაგამარცხა სანატრელო მერცხალი ცისა!..

მაგრამ მოხდა რამ საკვირველი ზღვის ცხოვრებაში, უცბათ მის გულში ჩაანათა ზეციდან მთვარემ და მკრთალმა სხივმა აშოკთ შეფის განათათა რა, ზღვისა ჯურღმული ძილისაგან ხავს მოდებული დაანახა მას.

შეერთა დევ-გმირი მიჯაჭვული... „კმაყოფილებით“ შე-
ბორკილმა, შერცხვენილმა ზღვამ, ზიზღ მორეულმა გაიწია,
გაიწოდინა... შერცხვა დანახვა თავის გულის, ვერ აიტანა
ის სიბინძურე რის ჭურჭელიც თურმე ის იყო და დაიყვირა,
დაიყვირა შემზარავი ხმით.

შეიძრა არე ამ ყვირილზე და შეწვრიალდა, ქაფ მოდევ-
ბული, დაეჯახა ტალღა ტალღასა, ახმაურდა და აბობოქრდა
ზღვისა უფსკრული, ბრძოლის სურვილი აღმურივით მოედო
გულსა... მთვარის სხივი კი მომღიმარე და მოალერსე, კვლავ
მშვიდათ, ნაზათ იმ უფსკრულში იცქირებოდა, მხოლოთ ზღვამ
იცის იმ სხივების გამტარებელმა, თუ რა სიტყვებსა იგი იმ
დროს ეუბნებოდა: თუ აქეზებდა ზღვისა ზვირთებს ის ნაზი
სხივი, თუ უხატავდა სიბინძურეს „კმაყოფილების“, თუ აღუ-
თქვამდა თავის სიყვარულს, წმინდა სიყვარულს, თუ ამის ღირ-
სი გახთებოდა მონათ ქმნილი ზღვა?..

იგრავინა კი ზღვამ, გაიწია და გაიზმორა, წელში გას-
წორდა, შეანძრია მძლავრი ფაფარი, იფეთქა ტალღამ და გა-
დამწვარ ზღვისა ნაპირებს მიაჩქეფა და მიაჩქეფა თავისი წყა-
ლი. შეიძრა არე, ამოდრავდა მშვიდი ჰაერი, მძლავრმა გრი-
გალმა კიდით კიდემდე დაიღრიალა, კვლავ ადგა ღმერთი, დიდი
ღმერთი მედვარ ბრძოლისა, კვლავ ახმაურდა, ამოდრავდა უძ-
ლვევი ძალა... გაშავდა სივრცე, ახოყარა მისი სიღრმიდან,
რაც სიბინძურეს მოეყარა ძილის დროს თავი, უბრძანა ტალ-
ღებს, გაეტანა ის ნაპირს გაღმა და დარცხვენილმა ღრუბ-
ლებს თხოვა დახმარებოდა, გადახუროდა იმას თავზე, რომ
ეს ნავავი ღღისა სინათლეს არ ეხილა იმის კალთაში...

ბნელმა მოიცვა სივრცე ზღვისა, უკუნმა ბნელმა—ღრუ-
ბელთ უსმინეს, გადახურეს თავისი ჩადრი, ზღვა კი მშფოთ-
ვარე, კვლავ ისევე ქექდა, შფოთავდა, თვის მუშაობას განაგ-
რძობდა თავ განწირული.

გათავდა ზრომაც, ზღვა სპეტაკი, გულ გაბანილი, დამშ-
ვიდებული თავის თავსა ეალერსება, აღარ სჭირია მას არც
ჩადრი, არც სახურავი, აღარც შერცხვება მას არც მთვარის,
არც მზის სხივის... მადლობა უთხრა იმან ღრუბლებს და ქა-
რის ეტლში ჩასვა ისინი, ქვეყნისაკენ გამოაგზავნა: წადით,
ძმობილნო, დედა მიწას მიესალამეთ, ჩემი სალამთ გააღებთ
მისი გაძნარე გული, თქვენ მას უძღვევით თქვენი წყალი, მე
თქვენა გიზღავთ, მოვალეობას უნდა მიკცეთ იმისი ხარკი.

გაძღა ქვეყანა, მან მოიკლა მისი წყურვილი და კვლავ
გაისმის მის სივრცეზე სიცოცხლის ძეგრა, კვლავ იბრძვის
კაცი, კვლავ ამარცხებს ერთი-მეორეს, კვლავ ზოგს უღიმის,
ზოგს კი არა ბედისა წერა, კვლავ ისმის კვნესა უბედურთა,
მწარე ტირილი და სიხარული ბედნიერთა და გაძაძღართა.
კვლავ წყვეა ჩაგრული, მწარე წყვეა სიძულვილისა და კვლავ
აღერსი ბედნიერი შეყვარებულის, კვლავ ატკობს სძენას
ყოიამული უმანკო ბავშვთა და კვლავ გაისმის ბოროტების
შხიარული ხმა... ზღვა კი სპეტაკი, დიდებული უძირო სივრ-
ცე, ტალღას ტალღაზე მიაგორებს გულ გაწმენდილი, უჭე-
რეტს ის მთვარეს, მის ნაზ სხივებს ეალერსება, როგორც
ეტყობა მთვარე უყვარს გულ ზვიად ზღვასა, ეს ცის მნათო-
ბი ძეუყვარდა თურმე ამ დღე გმირს, ყოველ საღამოს გულ-
ში იკრავს მის ფერ მკრთალ სახეს, არწევს ტალღებში, ეუბ-
ნება ტკბილსა ნანინას და მისი გული ერთხელ ბუდე სიბინ-
ძურისა, „კმაყოფილებით“ შებორკილი, დახავსებული, არ რის
მონატრე, არ რის მძებნი, დაღუმებული, ღღეს გადაიქცა
წმინდა ნავათ სიყვარულისა. და იგი ნავი, კარგი ნავი სიყვა-
რულისა, ძილის მაგიერ სიმღერითა შეაქცევს ზღვასა... სიმ-
ღერა იგი კვნესა არის შეყვარებულის, მწარე ტკივილი სატრ-
ფოს ძებნით გამოწვეული, მაგრამ ხან და ხან შიგ გაირვეს
ის ტკბილ ჰანგებსაც, იმედით მდიდარ მომავალისა. რა ითვალ-

წინეს... და როდესაც კი მთვარე დიდ ხანს არ გამოჩნდება,
ღონდება ზღვი, წარბსა იკრავს, ნილში ეხვევა, ტირის თურ-
მე ის, საყვარლისგან დანაღონები... და მწვავს ცრემლებს
ყვედურით ნატყორკნი ცაში, დედამიწისკენ მწვინდებიან
წვიმისა ცვრებათ... ღებება ქვეყანა, ნიადაგი პოხიერდება და
აი ამით, ზღვის ცრემლებით თურმე სულდგმულობს, ჩვენი
ნაცნობი, ძველის ძველი ქვეყნიერება!..

შენ სიყვარულო, ამ ქვეყნათ მიზნათ სახულო, შენ ერ-
თად ერთო საფუძველო ჩვენი იმედის, შენ მაშინ მოხვალ,
როცა ვით ზღვა გაიწმინდებით! ოჰ, თუ აგრეა, თუ აგრეა,
ბეჩავ ჩვენს ღღესა, დიდხანს მოგვიწევს თურმე შენი ცდა-მო-
ლოდინი, დიდხანს, სულ დიდხანს შორს იქნება ნათლით
მოსილი, ციურ სიწმიდით გამსჭვალული არსება შენი!.. ძუ-
ძუ მსუქანი მოუცია შენთვის ბუნებას, მაგრამ უბადრუკთ
ჯერ მის გემო არ გვიწვენვია!.. ნუ, ნუ აგვალბ ხელს უძ-
ლურთა, შენსა მონატრულთ, ნუ დაიშურებ, მშვენიერო,
მთვარისა სხივსა, ნუ გვითვლი ცოდვათ, რომ ამ ღარიბ საუ-
კუნეში, ღარიბი ვიყოთ მისი შვილნი, მისი ნაზარდი... ჰო,
მოხვალ ვიცი, მაგრამ როდის, როდის იმედო, როდის იქნე-
ბა დაღალულნი ჩაგვკრათ გულში!.. მთვარის სხივები ჯერ
შორს არის ჩვენ დახმულ გულზე, „კმაყოფილება“ ჯერ თა-
ვის სრულ უფლებებაშია და სიბინძურეს, ჩვენი გულის სიღრ-
მეში ჩაფლულს, ნანატრი სხივი ოღნავაც არ მინათებია!..

სპირიდონ მტერიშვილი.

ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ .

შვიციტარია. ამას წინათ ბერძნულში გამართა მწერლობის წარ-
მომადგენელთა შერეუ საერთაშორისო კონგრესი. პირველი კონგრესი
სა გამართა ანტუერპენში 1894 წ. და იმას შემდეგ ყოველ წლო-
ბით მწერლობის წარმომადგენლნი იკრებიდნენ კერძობის ან თუ იმ
ქალაქში. ბერძნის კონგრესს ეწვია 400 კაცი. ბერძნულად და
ითხვათ შორის დავასხველეთ კითხვა პრეფესორულ დირსების
შესახებ მადგემიკაში.

ინგლისი. „Standard“-ის სიტყვით, ბურების სარდლები
დეკრტი, დეკარეი და ბეტა სამ აგვისტოს ესტუმრებიან ინგლისს.
მათი მიზანია—ისესხონ ბურებისათვის რვა მილიონი გირანქა სტერ-
ლინგი, მოსხონ პრეკტი, რომლითაც ტრანსვაალის ნაწილი ნატალს
უნდა შეუერთონ და სხვა ბურებისათვის სასარგებლო კითხვების გა-
მორკვევა.

რეიტერის სააგენტო იტყობინებს სამხრეთ აფრიკის ქალაქიო-
განესბურგიდან, რომ იქ არსდება პოლიტიკური ასოციაცია, რომე-
ლიც წარმომადგენელთა დაწესებულების უქონლობის გამო გცდება
ხმა მადლა გამოაცხადოს მცნოვრებთა სურვილები. თავის მოწოდე-
ბაში საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს, შეტათ საჭიროა დღეს
ასეთის ასოციაციის დაარსება; დღეს კოლონიასი ახალი წესიერება
შეარდება, ათასი სხვა-და-სხვა კითხვები წყდება და ეხლანდელი შეტ-
დომების გასწორება შემდეგში ძნელი იქნება. ამ ასოციაციასთან
ერთათ ორგანიზაციას შეუდგა მუშათა პარტიაც, რომლის პრეზი-
დენში შედის მთელი რიგი სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმების
სა. მათი პრეზიდიენტი: მიენიჭოს საარჩევნო უფლება ყველა თეთრ
კანისს, ვინც კი 18 წელს გადაცილებს, თანასწორი საარჩევნო ოლ-
ქები აეთრ კანის მცნოვრებთა რაოდენობის მიხედვით, დახურული
კენჭის ურს, ორივე პალატის წევრებისათვის ჯამაგირის დახმება,
ზემა პალატის არჩევნებით შედგენა, რვა სათაინი საშუალო დღე
სულ ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში, სახელმწიფოებში და საი-
ჯარო საქმეებში, საშუალო დროს განსაზღვრა, იჯრების გადაცემას
და ეგრეთ წოდებულ „თფლის გამოწვევა“ სისტემის მოსხობა,
მადარობის უკეთესი ვენტილაციაც, მთა-მდნის მუშებისათვის ჰიკიუ-
ნური ბინების გამართვა, რკინის გზების საციონალიზაცია, ფრანკის,
ტელეგრაფის და ტელეფონის, წყლის მიწების ქალაქების განაგების

ნაციონალიზაცია, ადრადღაც აზიდან ადგილობრივი მუშების დეპრესია, სამხრეთ აფრიკის ფედერაცია, მაგარი სსრკების ნაციონალიზაცია, უსასიდელო საზოგადო ხასიათის სხსლერ განათლება, სავაღდებულო სამედიცინო სამართალი მუშებსა და მწარმოებელთა შორის ატეხილ უთანხმოების გასარჩევად, ხელფასის მინიმუმის დადგენა, ახალ ზეღანდაში გამოცემულ კანონების გვარი აგრარული კანონები, მიწის შემოსავლის გადასახადის გაძლიერება, ზრგ-რესიული შემოსავლის კვალბაზე მოწოდებითი გადასახადი.

საფრანგეთი. ამას წინეთ ჩვენ მოყვანილი გვქონდა გამოჩენილი მეცნიერის კონსი აზრი ჭლეტის შესახებ. აქამდის სულ ვეღარ დაწმუნებულა იყო, რომ საქონლის ჭლეტი ადამიანზედ გადადის, მარა კონსი განაცხადა, ეს შემდგარი აზრია, რომ ჭლეტიანი ძროხის არ უნდა გვეშინოდეს, მისი ხორცი და რძე უვნებელია ადამიანისთვის. დიდებული სწავლულის განცხადებამ დიდი განხეთქილება დაბადა მეცნიერთა შორის. ზოგი მიუხრდა კონსს, უმეტესობა კი მისი წინააღმდეგი იყო. სხვათა შორის მის წინააღმდეგ იყო ზარი-ზელი ექიმი გარნო. თუ რა ძალა აქვს ადამიანის ჭლეტს საქონელზე, ეს შედარებით ადვილი გამოსაკვლევაა, რადგან აქ შესაძლოა ზიარდშირი ცდა, ზიარდშირ ადამიანის ჭლეტის ბაცილების საქონლის ორგანიზმში გადატანა, ხელთ როგორ უნდა გაიგოთ, თუ რა გავლენა აქვს საქონლის ჭლეტს ადამიანზე? ხომ ვერ დაავთოფოებთ ადამიანს საქონლის ჭლეტით. და სწორეთ ეს არის უზიარდელისი სიძნელე ამ კითხვის გამორკვევაში. მარა წარმოიდგინეთ, ეს სიძნელეც დაირღვა. გარნომ გადაწვიტა თავისი სიცოცხლე შესწირონ მეცნიერებას და კაცობრიობას, მან გადაწვიტა აიცრას საქონლის ჭლეტი და ამ ნაირათ ზიარდშირ სცადოს მისი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. 17 ივნისს გარნო ექიმების ბოლუენის, ბარბერენის და დემერისის თანადანწრებით გაემგზავრა სუესობზე. იქ იმან მარცხენა ხელზე ნესტარით გაიკაწრა ხორცი. შემდეგ დაჭლეტიანებული ძროხის თვალტუბი დახაეია და დაიღვა გაკაწრულ ადგილზე. ახლა დაკურნენია მსოფლიო უცადოთ ცდის შედეგებს. „Temps“-ში უკვე გვაცნობეს თავგანწირული ექიმი, რომ იმას გამიანდა სიმისაზე უსათუოთ დაჭლეტიანის მხეხებელი. ამას წინეთ მან კიდევ აიცრა საქონლის ჭლეტი, რისთვისაც დრმათ შეიშახუნა ბაცილები სისხლში. ახლა ექიმი დაწმუნებულია, რომ მის სხეულში დაფარფაშებენ ჭლეტის ბაცილები. თუ გარნომ მართლაც დამტკიცა უტუყარათ, რომ საქონლის ჭლეტი გადადის ადამიანზე, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. მაშინ მოსლოდნელია, რომ ენერგიულ ზომებს მიიღებენ ჭლეტიანი საქონლის დასახორცათ და ამ ნაირათ შეებრძობებიან ჭლეტის გვარცხლებას, რომელიც ასე ბევრ მსხვერპლს ითხოვს. მარტო საფრანგეთში იღუბება ჭლეტი 150,000 კაცი.

— კომისის სამინისტრო მუერევევლათ მიდის წინ კონგრეგაციების ბრძოლაში. სამინისტრომ ბოლომდე სხდომაზე გამოცა დეკრეტები, რომელთა ძალით უნდა დახუროს 400 კონგრეგაციების შკოლა. ამავე სხდომაზე კომისმა შემდეგი ცნობები წარადგინა იმის შესახებ, თუ როგორ ეპურბობან სასულიერო ორდენები კონგრეგაციების შესახებ კანონს. ნებართვის თხოვნა თავის დროზე არ შემოუტანათ დასახორცებით 6000 კონგრეგაციის დაწესებულებას. ხსენვარი ამ დაწესებულებების ავთოფოებს უფლის, ამიტომ მთავრობას მათ წინააღმდეგ არ მიუღია სასტიკი ზომები, მეორე ხსენვარი კი ინახავს შკოლებს. მათ შორის ბევრი ისეთია, რომელთაც უფიქრათ, რა საჭიროა განსაკუთრებული ნებართვა, ჩვენ ისეც დავემორჩილებით კანონს. მათ შესახებაც მთავრობას არ მიუღია ზომები. ხოლო ის 400 დაწესებულება, რომელთაც დასურვავა გადაწვიტა სამინისტრომ ათი ივლისის კრებაზე, ეკუთვნის ბერების იმ საზოგადოებებს, რომელთაც გამოაცხადეს—მსოფლიო ძაღას დავმორჩილებით რაკი კლერიკალები ხედევენ, რომ მთავრობასთან ნებყოფლობით მათ არაფერი ეკუთვით, ამიტომ ისინი უფველ დონისი-ექმას ხმარობენ, რომ ხალხში აღძრან მთავრობის წინააღმდეგი მორაობა; მანიფესტაცია მოსდეკს მანიფესტაციას, მიტინგი-მიტინგს.

გასულ შაბათს სდამოთი აბატმა გარნიემ შეკრიბა კლერიკალურ მიტინგზე საზროტესტოთ ნაციონალური კავშირის ახალგაზდობა. მიტინგი მოწოდებით იყო *Maison du peuple français* შკოლის მარტოს კვარტალში. შეიკრიბა შეიდასიოდე კაცი 200-მდე. ცნობითი კობე, რომელმაც წარმოთქვა ჩვეულებრივი სიტუვა დღე-ღანდელ დემოკრატებისდა სამცირებლათ. ახლო-მასლო ქუჩებში ამ დროს თავი მოიყარა ოთხი ათასმდე მუშამ. ზოლიცია და მუნიციპალური გვარდია, ალყათ შემოერტა იმ სახლს, სადაც კლერიკალური მიტინგი იყო, რომ დაეცვა კლერიკალები მუშებისკან, მუშებიც მიტინგის გათავების მოლოდინში ვვირდენ „*A bas la catotte* და მღეროდენ *Internationale*-ს. ზოლიცია იმ აზრით, რომ მუშები არ დასხმოდენ თავს მიტინგიდან დაბრუნებულ კლერიკალებს, ეს უკანასკნენი გაყო მცირე გუნდებით, რომელნიც მუნიციპალური გვარდიის მიფარველობის ქვეშ ჩუმათ მიდოდენ თავის ბინებისკენ. ამავე დროს 1500 მუშა წავიდა ახლო მდებარე სახლში, სადაც გაიმართა კლერიკალების წინააღმდეგ მიტინგი ზემბას თავმჯდომარეობით.

კვირას გაიმართა ჩვერლებრივი მანიფესტაცია სოციალისტების და თავისუფალ მოახრეების ეტიენ დოჟეს ქანდაკების წინ. ეტიენ დოჟე იყო გუმანისტი და კათოლიკეთა სამდვდელოების მებრძოლი. ამის გამო კათოლიკეთა სამდვდელოებამ ის დასწვა 1546 წ. ამ გმირის ძეგლთან უოკელ წელს, სმ აკვისტოს, იმართება მანიფესტაცია. წელს ამ მანიფესტაციას უფრო დიდი ხასიათი მიეცა, რადგან ახლა განადებულა კლერიკალებთან ბრძოლა. სოციალისტებმა და რადიკალებმა დაუნიშნეს თანამოახრეთ ერთი მოედანი, სადაც შესადგემლი შეგროვდა რამდენიმე ათასი კაცი. აქედან ისინი გაემგზავრენ დოჟეს ძეგლისკენ. აქ ურიცხვმა დემუტაციებმა დალაგეს გვირგვინები ძეგლის ფეხთან ანტიკლერიკალურ წარწერებით. კლერიკალებს უნდოდათ საწინააღმდეგო დემონსტრაციის გამართვა, მარა თავის წინამძღოლთა რჩევის თანხმობა ამაჯობინეს სახლში დარჩენა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამინისტრო არ კმაყოფილდება მარტო მოქმედებით, მისი წევრები ცდილობენ სიტუების წარმოთქმით უფრო განამტკიცონ თავისი ზრგრამა. მინისტრთა შორის ამ მხრივ უფელზე უფრო მეტ მხენობას იჩენს ჭელტანი. ერთ ბანკეტზე ზელტანმა განაცხადა: მე წინააღმდეგი ვარ იმის, რომ ესლავე შეუურიცდეთ ჩვენ მოქალაქეობრივ მტრებს, მე მომხრე ვიქნები ასეთი შერიგების შემდეგ, მაგრამ არა დღეს, როცა ესა გამოვედით ზოლიტიკური ბრძოლის ქარ-ეცხლიდან ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ საზინდარ შეურაცხელოფას აუენებდენ ჩვენ ზარტას. თვით რესპუბლიკის ზრუნი-დენტსაც კი დასცილობდენ, ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ უნდოდათ მოქნდინათ სამხედრო ამბოხება: და აი როცა უფველმა მეცადინეობამ, რომ ჩვენ დავემარცხებოეთ, ამათ ჩაიარა, ჩვენ ახლა შემოგვძახიან: „შვიდობიანობა, შერიგებოა“. სწორეთ ამ გრძობებს უნდა მიმარ-თონ ახლა, როცა ჩვენ უკვე გამარჯვებულები დავრჩით. ის ზირები, თონ ახლა, როცა ჩვენ დამარცხებას, რომელნიც ადვლეგებენ რომელნიც ცდილობდენ ჩვენ დამარცხებას, რომელნიც ადვლეგებენ ჩვეუანას და თესთენ მოქალაქეთა შორის განხეთქილებას, დღეს ითხევენ ჩვენგან, რომ ბრძოლის ზრგრამა უარყოფთ, რომ ჩვენ დავმარცხეთ რეფორმები და შემოქმედებითი რესპუბლიკანური მუშაობა, რომელიც მიზეხია ჩენი გამარჯვების. არა, ქვეყანა არა ასეთი ზოლიტიკის მომხრე, ის არის შეერთებულ რესპუბლიკანელთ მოქმედების მომხრე. ჩვენ მოწამენი ვართ სხირებული ამბების. იმ ქვეყანაში, რომელმაც შექნა 89 წელი და მინიჭა ხალხებს თავისუფლება, რომლის სიდაღე მჭიდროთ შეკავშირებულა რეფოლურციასთან, ჩვენ იძულებული ვართ დავიცვათ სწორეთეს რეფოლურცია. რა კუდამელობას და ეშმაკობასაც არ უნდა მიმართონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, ჩვენ მანინ შეესძლებთ ავხადოთ მათ ზიარდა და დავიცვათ 89 წლის სახადერძევი კლერიკალურ ზარტიებისკან. რაქტიციანურ კავშირს, რომელმაც შეაერთა სულ ვეველ რესპუბლიკის მოწინააღმდეგეები, ჩვენ წინ დაუეხებთ რესპუბლიკანელთა კავშირს, რომელსაც შეადგენენ სულ ვეველნი, რომელთაც კი სურს ადამიანის ცანების განთავისუ-

უფლებს, რომელიც ერთნაირად არიან გამსჭვალული ძიების და სი-
მართლის იდეალებით. ამ რესპუბლიკანურ კავშირს შეადგენენ სულ
ეველა რესპუბლიკანელები დაწვეული ზომიერ ზარტებიდან უკიდურეს
შემარცხნულებამდე, და ამათ ცთილობენ ჩვენ შორის განსეთილებების
ჩამოკლებას. ჩვენ ვიქნებით ერთად ბრძოლაში და სხვა
და სხვა მალულ ძალებთან ბრძოლაში. რომელთაც სურთ საფრანგეთის
ერის გენიოსობის დამახინჯება. შე არ ვხედავ სპირიტით აქ გაკაცნით
სამინისტროს მთელი ბრძოლაში, მით უფრო, რომ ჩემთვის ეს არ
დაუფლებიათ ჩემ თანამოსამსახურეთ, მაგრამ ვარწმუნებ დამსწრეთ,
რომ კაბინეტი ედვება განხორციელდეს ისეთი რეფორმები, რომლებითაც
შეეძლება ისარგებლოს რესპუბლიკის შექმნელ დემოკრატებს. რეს-
პუბლიკა შექმნეს არა დიდებულმა პირებმა, რომელთათვის აღმართულია
ძეგლები, არამედ იმ ურცხვებმა მშრამქელმა ხალხმა, რომელიც გაფანტუ-
ლია ქადაქებსა და სოფლებში, რომელიც არ მოელოდნენ არც ადგილებს,
არც ჩინებს და ჯილდოებს და იბრძოდნენ და წინააღმდეგ თავის სიცოცხ-
ლეს, გინდ თავისუფლებას, რომ დაეტოვებინათ თავისი შთამომავლ-
ბისთვის ცოტა მეტი სიმართლე, ცოტა მეტი კეთილდღეობა. რეს-
პუბლიკა მოგვანიჭებს ჩვენ დემოკრატების მასსამ და სწორეთ მისთვის
და მისი სახელით უნდა განვაკებდეთ ქვეყანას. აქ მინისტრი ხელახ-
ლა უბრუნდება თანამედროვე ზოლიტიკურ მდგომარეობას. ის ბრძო-
ლა, რომელიც ჩვენ მოგვედის, არის ძველი ბრძოლა კლერიკალიზმ-
თან, რომელიც ყოველთვის ცდილობდა შეერთებინა თავის დროში
ქვეშ სულ ეველა რესპუბლიკის მტრები. განა ის არ ცდილობდა ე-
ფელთვის ჩეკვლა მართველობა ხელში? ჩვენ ვაღდებულებ ვართ, გა-
დაუფლობათ მას გზა, რადგან ძალიან კარგათ ვიცით, თუ რა წვალებ-
ბა გამოიარეს მისი წყალობით ჩვენმა მამებმა. თქვენ თავის დღეში
ვერ გაიგონებთ ჩვენი მტრებისგან, თუ ვინ არიან ნამდვილათ ისინი.
სამი წლის წინეთ იმათ მთხურეს პატრიარქობის ქუდაჯა და
ვინც მათ არ ეთანხმებოდა, ის ითვლებოდა ჯარის და სამშობლოს
მტრათ. ესაა მართველობა შეიცვალა და მის შემდეგ, რაც მინის-
ტრათ ვარ, შე ვხედავ ახირებულ მასკარადს... ჩვენ წინააღმდეგ
იყვირან: „ეს ვაუბრები არ არიან რესპუბლიკის დირსიო“, არა,
მთავრობა არ წავა კანკასში. ჩვენ არ დავივიწყებთ, რომ ჩვენმა მ-
მებმა გამოკლიჯეს ქვეყანა ხელიდან მისტიციზმს. ჩვენ ვაღდებულებ
ვართ განვარდნათ ეს ბრძოლა და რამდენიც არ უნდა იყვირან, ეს
არ დაუშლის საფრანგეთის ერის გენიოსობას ძველებურათ გვიხელმ-
ღვანელას ჩვენ.

**ქალთა კითხვის დღევანდელი მდგომარეობა და მისი
მომავალი საზღვარ-გარეთ.**

(წერილი მიუნხენ-დან)

ქალთა კითხვისთანა საქირბოროტო საგანი მეორეც არ
მოიპოვება ევროპის განათლებულ ნაწილში. ამ კითხვის ქა-
ლებისთვის სასარგებლოთ გადაწყვეტას არაფერი არ ეშველა
და არც მოსალოდნელია, ახლო მომავალში რამე ეშველოს.
შორიდან კაცი იფიქრებს, რომ ევროპა, როგორც საზოგა-
დოთ, ამ მხრითაც ბედნიერია, მის პარლამენტარულ წეს-
წყობილებას არ უნდა გაუძნელდეს ქალთა კითხვის გადაწყვე-
ტაო. პრინციპილურათ ამ გვარი აზრი მეტათ სამართლიანია,
მარა სამწუხაროთ ჯერ-ჯერობით ნაადრევი; თანამედროვე
წესწყობილება და ამისაგან გამოწვეული ყალბი წარმომადგე-
ნლობითი სისტემა ნათელს ფენს ზევით გამოთქმულ აზრს.
ჩვენც ამ კითხვას გარჩევის დროს არ უნდა დავივიწყოთ პარ-
ლამენტარული წეს-წყობილების ნაკლებეფანებანიც, თუ არ
გვინდა ქვემარტებას ავცდეთ. ერთ ამ ნაკლებეფანებათ სხვა-
თა შორის უნდა ჩათვალოს ის, რაც ჩვენი დღევანდელი
წერილის საგანს შეადგენს ქალთა უფლებებობა შესისხლბო-
რცებული აქვს დღეს კაცობრიობის უდიდეს ნაწილს და ამის
გამო მასთან ბრძოლას თითქმის არაფითარი გაუმჯობესობა
არ მოხდეს ქალთათვის: მიღებულია ის აზრი, რომ ამ კით-

ხვის გადაწყვეტაში ამერიკამ ევროპას ბევრად გაუსწროვო.
ეს იმდენათ მართალია, რამდენათ ქალებს, როგორც კერძო
პირებს, უჭირავთ მალალი თანამდებობანი (ქვეყნის მთავრ-
სობები, ადვოკატები). ამ გვარი მოძრაობა ეფუძნება
ლა კუთხეებში; განსხვავება ის არის, რომ ეს „მოძრაობა“
ამერიკაში უფრო ძლიერია. მარა ამ უკანასკნელ ხანე-
ბში აღორძინდა ამერიკაში ნამდვილი ქალთა მოძრაობა. ქა-
ლებმა მიყვეს ხელი სხვა და სხვა საზოგადოების—ფერეინე-
ბის დაარსებას და შეერთებული ძალა და ენერგია პოლიტი-
კური უფლებების მოსაპოვებლოთ გამოიყენეს. ზოგიერთ შტა-
ტებში კიდევ მოიპოვეს უფლებები, მარა ყველა ეს იმდენათ
მცირეა, რომ ქალთა გამარჯვებაზე ამერიკაში არ შეიძლება
რამე ითქვას. ამ ბრძოლას მომავალშიაც უმნიშვნელო შედე-
გი ექნება, თუ ქალთა კითხვის გადაწყვეტა მარტო ქალებს
მიანებას, როგორც ვითომდა მათი კერძო საქმე. ქალის გან-
თავისუფლება ერთ და იმავე დროს კაცის განთავისუფლება-
საც ნიშნავს. უფლებებით აღჭურვილი ქალი იმავე მონაწი-
ლეობას მიიღებს ოჯახის ნივთიერათ უზრუნველ ყოფაში,
როგორც მამა-კაცი და ამით გაუნახვერებს მას შრომას. ასე
ესმის ეს კითხვა ევროპის საზოგადოების დემოკრატულ ნა-
წილს. მას არ ეშინია კანკურენციის განთავისუფლებულ
ქალთა მხრით, პირიქით მათი კონკურენცია სასარგებლო და
სასიამოვნოა მამაკაცებისთვის. ამ აზრით ისინი აღძრავენ ხოლო
მე პარლამენტში დრო გამოშვებით ამ საქირ-ბოროტო კით-
ხვას და პარლამენტის ასე თუ ისე მოპრობისაგან დამოკი-
დებულია ამ კითხვის ბედ-იღბალი. ყველა ამის შემდეგ მკით-
ხველი ადვილათ წარმოიდგენს, თუ რა ელფერი დაედება
მთელ პარლამენტს და მის მოქმედებას, როდესაც ქალებს
მიენიჭება პოლიტიკური უფლებები. დავანებოთ თავი ქალე-
ბის დებუტატებათ არჩევას, ჩვენ ავლოთ ის შედარებით ბედ-
ნიერი მომავალი, როდესაც მათ უფლები მიეცემა პარლამენ-
ტში თავიანთი ინტერესების დამცველი მამაკაცები აირჩიონ
(არჩევნების უფლება მიენიჭება). ადვილი წარმოსადგენია, თუ
რა აუარება ხმა და ამისგამო წარმომადგენლებიც მიემატა
მშრომელთა ნამდვილ ინტერესების დამცველთ. „რატომ მოე-
მატება მარტო მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველთ და
არა ყველას პროპორციონალურათ“, შეიძლება შემნიშნოს
მკითხველმა. საკმაოა სულ ცოტათ საქმეს ჩაუფიქრდეთ, რომ
ამ გვარი კითხვა უადგილოთ აღვიაროთ. მკითხველი დამერ-
წმუნება, რომ მალალ წოდების ქალებში (ბრწყინვალე მანდი-
ლოსნებში) ძვირათ გამოერევა იმისთანა, რომ პარლა-
მენტში წასვლას ხმის მისაცემათ კარგი პაერზე გასეი-
რნება, საცეკვაოთ დასამხიარულოთ წასვლა არ ამჯობინოს
ან და უამინდობის და მოდის კაბის უქონლობის გამო სახლ-
ში დარჩენა. ან რამ უნდა აიძულოს იგინი, როდესაც მათ
საზრუნავი არაფერი არ აქვთ. მკითხველი დამერწმუნება, რომ
არც ერთი იმ მანდილოსანთაგანი არ შეადგამს პარლამენტში
ფენს, რომელიც ვილჰელმის მოწყალე ყუარდლების ქვეშ
არიან¹⁾

სულ სხვა სურათს წარმოსადგენენ მშრომელი დედები,
ცოლები, თუ დები. აქ კი ძვირათ მოიპოვება იმისთანა პი-
რი, რომელიც არჩევნების დღეს დააკლდება პარლამენტს.
აქ, ევროპაში, ისე გამწვავებულია ბრძოლა შრომა და კაპი-
ტალს შორის, რომ ქალმა ისე უნდა იშრომოს, როგორც

¹⁾ სულ მოკლე ხანში იმპერატორ ვილჰელმ II გავლით ერთ პატარა
ქალაქ კრეფელდში ბიურგომესტრთან მოუნათ ყოფნა. სხვათა შორის მა-
სპინძლის ქალიშვილებს დაკითხა, თუ როგორ მხიარულათ პატარებენ იგი-
ნი დროს. ქალიშვილებმა შესჩივლეს იმპერატორს, რომ უაფიცრობის გა-
მო ისინი მოკლებული არიან მხიარულობას, ნამეტურ კი ცეკვას. ვილჰელ-
მი დაპირდა ერთი პოლის გამოგზავნას, რაც სამ დღეში შესრულდა.

მამაკაცმა, თუ სიმშლით სიკვდილის-მსხვერპლათ არ სურს გახდეს. აქ ქალი იმავე ტაფაში იწვის, როგორც მამაკაცი. ის ამოხდგომია მამაკაცს გვერდში და ისე თავგამოდებით შრომობს, როგორც ის. ისინი ლამის არის გარეგნობითაც დაემზავსონ ერთმანეთს. მაგ., ქვა-ნახშირის მალაროებში (მიუნხენის მახლობლათაა) ქალებს მარტო თმით გამოიცნობთ, ტანისამოსი იგივე აქვთ, რაც კაცს, სახე ხომ ორივეს შვათ აქვთ შეფეთქილი ნახშირით. მარა არსებითი განსხვავებაც არის მათ შორის: ქალის ქირა გაცილებით ნაკლებია კაცისავე. ამ გვარი პირობები, რა თქმა უნდა, მას აძლევს ყოველი ღონისძიება იხმაროს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. როგორც ზევითაც ვთქვით ამის ცოტათ თუ ბევრათ განხორციელება პარლამენტისგან არის დამოკიდებული და ქალის პირდაპირი ინტერესი მოითხოვს გამრავლოს იქ თავისი წარმომადგენელი. აშკარაა, რომ მშრომელი ხალხის მოთხოვნებიანი დაუყონებლივ შეწყნარებულ იქნება, რა კი მას უმრავლესობა ეყოლება პარლამენტში; ქალებისთვის უფლებების მინაჭება კი ამ სანატრელ დროს ბევრათ დააჩქარებს და სრულიათ გაასწორებს ქალთა და კაცთა უფლებებს. დღევანდელი პარლამენტი, სადაც დიდ უმრავლესობას მებატონეები, კლერიკალები და ბურჟუები წარმადგენენ, საზოგადოთ მშრომელთ არაფერ კარგს არ უქადის. პატარა მაგალითათ ბავარიის ლანდტაგიც გამოგვადგება. წასული წლის მიწურულში აქ ერთი კრება გაიმართა, რომელზედაც რეფერატს კითხულობდა პროფ. ლ. ბრენტანო, მიუნხენის საზოგადოების ძვირი სტუმარი. კრებას ქალებიც დაესწრენ. კრების გახსნის წინ პოლიციის კომისარმა მ. ათხოვა იმათ ზალა დაეტოვებიათ. თუმცაღა აქამდისაც მათ უკეთ არ ეპყრობოდენ, მარა ამ უკანასკნელმა გარემოებამ ისინი გამოაფხიზლა და სულ მოკლე ხანში ლანდტაგს რამოდენიმე პეტციის მოუვიდა ქალთა სხვა-და-სხვა საზოგადოებათაგან. „ჩვენ დროში სწორეთ ანაბრონიზმია ქალების უუფლებობა, აუცილებლათ საჭიროა მიენიჭოს მათაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება“ ამბობენ იგინი. „აქამდე თუ ჩვენი გამოთიშვა კიდევ მოსათმენი იყოვო—განაგრძობენ იგინი—დღეს კი წარმოუდგენელია მე 15-ს ძალაში დატოვება; ეკონომიურ ბრძოლაში ეხლა ქალებიც იმგვარ მონაწილეობას იღებენ, როგორც კაცებო“. თავიანთ პეტციებში ისინი ითხოვდენ ბავარიის კანონების მე 15-ს გაუქმებას, რომლის ძალით-მათ ნება არ აქვთ პოლიტიკურ კრებას დაესწრონ; პოლიციას კი ადვილათ შეუძლია ყოველი კრება პოლიტიკურათ დასახოს და ამით სრულათ უმნიშვნელო ყოს ეხლანდელი მე 15-ს. ამ პეტრაციებზე მსჯელობა სულ ამ მოკლე ხანში ქანდა ლანდტაგს. პეტციების დასაბუთება და მხურვალე დაცვა უკიდურესმა მემარცხნეება იკისრეს. მარა მათმა მჭერმეტყველებამ ვერავითარი გავლენა ვერ იქონია კლერიკალებზე²⁾ ქალების თხოვნა უარყოფილი იქნა უმრავლესობისაგან. მინისტრი ვეილინი იმით ასაბუთებდა თავის უარს, რომ სულ ოთხი წელიწადიც არ გასულა, რაც ჩვენ ეს მე-15-ს მივიღეთ და ასე მოკლე დროში შეუძლებელია მისი გაუქმებაო. ჩვენ რომ ასე მიეცეთო, განაგრძო მან (ე. ი. მივანაქოთ ქალებს პოლიტ. კრებებზე დასწრების ნება) ცოტა ხანს იქით ისინი უფლებების გათანასწორებას მოგვთხოვენ, იმათი პარლამენტში ყოფნა კი სასურველი არ არის, რადგანაც ლანდტაგის სესიას გააქიანურებენ ბევრი ლაპარაკითაო. ასე დაბოლოვდა ქალთა კითხვა ბავარიის ლანდტაგში. ეს შეგვიძლია ყველა პარლამენ-

ტების ნიმუშათ აღვიაროთ. მარა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ დემოკრატიული ელემენტების სწრაფი გამრავლებამ და რეალამენტში ბოლოს მოუღებს ამ კითხვას და განთავსებს მათ მდგომარეობიდან კაცობრიობის ნახევარ ნაწილს.


პ. გ—ნი.

სოფლის მასწავლებელზე *)

ამ ბოლო დროს ჩვენმა ჟურნალ-გაზეთობამ სოფლის მასწავლებლებისკენაც მიიბრუნა კალამი და იმათ ცხოვრებაზედაც დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ეს ლაპარაკი, საუბედუროთდ ძალიან მალე შეწყდა და ისეც შეწყდა, რომ რაც საჭირო იყო იმაზე ოითქმის არაფერი არ თქუმილა. ამიტომ ჩვენ გვსურს კიდევ დავუბრუნდეთ ამ საგანს. ვგონებთ, ყველასათვის ცხადი უნდა იყო ახლა ის, რომ ჩვენი ახალი ცხოვრების ყოველი ახალი ყვაილი ქალაქში იშლებ-იფურჩქნება და სოფლამდინ მხოლოთ ქარისგან გადატყორცნილი სუნინდა თუ მიაღწევს ხოლმე ხანდის ხან (იმისთანა სოფლებიც ბევრია ჩვენში ჯერ, სადაც სუნსაც ვეღარ მისტყორცნის ის უცნაური ქარი, თორემ თვით ყვაილის ნახვა და მისი ცქერით დატკობა ხომ საზოგადოთ აკრძალული აქვს ჯერ-ჯერობით ჩვენი უგზო-უკვლო სოფლების უმეტესობას). აი ამ სიახლისაკენ მისწრაფებას მოწყვეტილ სოფელში იგზავნება მასწავლებლათ ახლათ სკოლის სკამიდან ამდგარი თერამეტ-ცხრამეტი წლის ახალგაზდა ყმაწვილი, რომელსაც, ვინ—მოსთვის, ჯერ თვითონ რამდენი ცულსალაშინი ექირვება, რომ მისგან საზოგადოების ხეირიანი წევრი და თვით თავისი პირდაპირი დანიშნულების კარგათ აღმასრულებელი პირი დადგეს. ახლა ვიკითხოთ, აქვს ამ სულიერათ ბავშვ ადამიანს სოფელში რაიმე საშვალება, რომ ცხოვრების მსვლელობას თვალ-ყური ადევნოს და საზოგადოთ თავისი თავის გაღვსვ-განვითარებასაც მიყოს ხელი, თუ არა? სხვამ რაც უნდა, ისა სთქვას და ჩვენ კი ამას ვიტყვი, რომ არა! და კიდევ ამიტომ არის, რომ ჩვენი სოფლის მასწავლებლების უმეტესობა დღეს უკან ჩამორჩენილია. როცა სოფლის მასწავლებლების შესახებ დასძრავენ ენას, გაიძახიან დალოცვილები: „ჩვენი მასწავლებლები გონებით დატაკდებიან, მათი უმეტესობა ცხოვრებას უკან რჩებაო“.—და იმას კი არ აქცევენ ყურადღებას, თუ რა იწვევს ამას და რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ მართლა დავიჯეროთ, რომ რა კი სოფლის მასწავლებლობას იწყებს კაცი, უსათუოთ წინ სვლის მაგვრათ უკან-უკან დაიწყებს ხევას გონებრივათ? არა! აქ მასწავლებლობა, რასაკვირველია, არაფერ შუაშია, არამედ ისეთ პირობებში არიან ჩაყენებული თვით მასწავლებლები, რომ ეს ასე უნდა მოხდეს და ხდება კიდევ. როგორც წინათაც ვსთქვით, გამოუცდელი ახალგაზრდა ყმაწვილი მიდის მასწავლებლათ რომელიმე მიყრუებულ საზოგადოებაში. ვთქვათ დიდი უგზო-უკვლო წოწიალით და კითხვა-კითხვით მიაღწია ამ ახალმა მასწავლებელმა იმ სკოლამდი, სადაც ის არის მასწავლებლათ დანიშნული და ჩამოხტა ერთ ფანჯრებ ჩამტვრეულ ფარლალა შენობაში, სადაც ძაღლის ყუფისა და მამლის ყვილის მეტი არაფერი ისმის. რა ნაირი შავი ფიქრები იპყრობს მაშინ მას და რა სასოწარკვეთილებაში აგდებს თავისი ცხოვრება პირველსავე შეხვედრაზე? ხედავს, რომ ოცნებებს ფრთები

*) ვებჭდავთ ამ წერილს, რომ დროთი-დრო გავანსნოთ ჩვენ მასწავლებლებს მეტი თვითმოქმედების და გონებრივი მისწრაფების გამოჩენის საჭიროება. რაც შეეხება მასწავლებელთა გონებრივი სიბერავის მიზეზს, ის გაცილებით უფრო ღრმა არის, ვიდრე ჩვენს ავტორს გონია, ის ღრმათ იმალება თანამედროვე წესწყობილებაში და ჯამაგირის გადიდებით მისი განკურნება არ შეიძლება

1) ერთმა კლერიკალმა ის ჩვენში ცნობილი აზრიც გამოთქვა, რომ ქალის დანიშნულება—კერასთან ჯდომა და წინდების ქსოვაო (Die Frauen sollen dahlm bleiben und strumpfe stopfen).



ეკვეცება და იმედები უტრუფდება, ვერაფერს სასიკეთოს და სანუგეშოს ვერა ზედავს. დღას გაშტერებული და უიმედოთ ეკითხება თავის თავს: „ბიჭო, რა დამიშავებია, ამ უდაბნოში რომ გადმოხვეწეს და თანაც მომატყუილეს: ოთხასი მანათია ჯამაგირიო და აქ კი ორას ორმოცდა ათი ძლივს ყოფილა. მეორე რას მიზამს ორას ორმოცდა ათი მანათი? ეს სამგზავროთ არ მეყოფა ჩემს სახლსა და ამას შვა, ისეთი მოსასვლელი ყოფილა აქ. და ახლა მაძიებენ რა ვუყო, ჩემი ჯამაგირიდან რომ მოვლის ვალის გასტუმრებას და ქალის გათხოვებას? ყველა, ყველა და ამ საყრუეთში თუ რაიმე ჟურნალ-გაზეთი და წიგნები არ გამოვიწერე, ხომ გავველოური კაციო?“. ამ ფიქრის ს ხშირათ ისიც მოუვა თავში, რომ დაეტოვებ ამ სამსახურს და გავიქცევიო, მაგრამ სად წავიდეს. დიად, ფიქრ-ყოლის შემდეგ უნებლიეთ იცდის ეს ახალგაზდა მასწავლებელი რუბულ სოფელში, სადაც მას არავისაგან არავითარი ლი ცოდნა-გამოცდილების შეძენა და შევსება არ შეუძლია, ან ამ მხრივ იქ ყველა მასზე დაბლა დგას. რჩება უსაზროლო სულიერი მხარე ამ გონებრივით მოზარდე ადამიანისა. წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენის საშუალება არ აქვს, რაზან მისი მცირე ჯამაგირი სხვა მცირე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათაც არ ყოფნის და არც სხვისაგან შეუძლია ამავების სანათხოვროთ შოვნა, რაზან „გოგია უიშვილსა და გაბრიელა ჩამწარადებთან „აქვს საქმე, რომლებსაც ესენი სიზმრადაც არ ეზმანებათ. ცხოვრობს განდევნილივით უზადრუკათ უზადრუკი პედაგოგი. მუშაობის დღეს უმეტეს ნაწილათ ატარებს სოფლის ტოლ-ტოლი ბიჭების უხეირო ლაზღანდარობისა და ოხუნჯობის ყურებაში. მასწავლებლის ამნაირ გონებრივ უმოძრაობას ის შედეგი მოსდევს, რომ ის გონებრივით თანდათან უერთდება და უსწორდება იმ ხალხს, რომელიც მას გარს არტყია და ეს ხომ უკან-უკან სვლას მოასწავებს მასწავლებლის მხრივ. რა არის იმის მიზეზი? პირველი და უმთავრესი მიზეზი ამისი არის მასწავლებლების ნივთიერი ვიწრო მდგომარეობა. მასწავლებლები რომ ნივთიერათ უფრო მაგრად იდგნენ ფეხზე, მაშინ იმათ საშუალება ექნებათ ხშირი მიმოსვლა იქონიონ თავისუფალ დროზე ქალაქებში, გაეცნონ იქაურ მოწინავე პირებს და იბაასონ მათთან, შეიძინონ საჭირო წიგნები და გამოიწერონ ჟურნალ-გაზეთები, რასაც მოყვება იმათი გონებრივი წინსვლა და გამოფხიზლება. ამნაირი გამოფხიზლებული და გონებით გაღვსილი ადამიანი სოფლებსაც თავისკენ დაუწყებს წევას და არა თვითონ აედევნება იმათ უკან, რასაც ეხლა სამართლიანათ უსაყვედურებენ ჩვენი მასწავლებლების უმეტესობას. მაშინ და მხოლოთ მაშინ დაეტყობათ ჩვენ მასწავლებლებს სასიკეთო ცვლილება და მაშინ გახდებიან ისინი სრულნი აღმასრულებელი თავიანთი დიდი მოვალეობისა. ამიტომ ვისურვებთ, რომ სოფლის მასწავლებლებისკენაც მიებრუნებოთ ერთხელ თავიანთი ღურბინდი, ვისგანაც ჯერ არს, და იმათი წყლულებისთვისაც მოენახოთ სამკურნალო მალამო. დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ თვითონ მასწავლებლებიც დიდი დამნაშავენი არიან თავიანთი ცუდი მდგომარეობის საქმეში. სდგანან გულ-ხელ დაკრეფილი ენა დაბმულებივით და ხმას არ იღებენ თავიანთ მდგომარეობაზე, თითქო დიდი კმაყოფილნი არიან ბედისაო. ვინც დაახლოვებით იქნობს სოფლის მასწავლებლის მდგომარეობას და დაკვირვებია იმათ ცხოვრებას, ის უსათუოთ დამეთანხმება, რომ საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენებური პროლეტარიისა ჩვენი სოფლის მასწავლებლები არიან; მაგრამ თვითონ თითქო არ იმჩნევენ ამას და იმ უგუნურ ავათმყოფს მოგაგონებენ, რომელმაც თურმე ქირა მალა და ის ვეღარ მიხედა, რომ ჭირი თავს არ დაიმალოვდა. გული ვიკვდება, როცა აკვირდები ამ ცოტათ თუ ბევრათ გონება გახსნილ დაბეჭავებულ ადა-

მიანებს, რომლებიც დასაკლავ საქონელსავე იმედ დაკარგულნი ასდევნიებიან თავიანთ ბედს უკან და ასე ცოტა სიცოცხლის ნიშანს იჩენენ. დრო არის, რომ ფიქრით ვუთხრობას დაუკვირდენ ჩვენი მასწავლებლები თავიანთ მდგომარეობაზე, რაზან გავიწილი აქვთ ჩვენცხური ანდაზა: „ქირისუფალი არ ტირის, მოტირადს რა ატირებსო“.

გრ. ცენტრაქე.

დიალექტიკა და მატაფიზიკა

(თარგმანი გერმანულიდან).
(დასასრული. იხ. № 31).

ნამდვილი წარმოდგენა მსოფლიოზე, თუ როგორ ვითარდება იგი და მასთან კაცობრიობა, როგორ აღიბეჭდება ეს განვითარება ადამიანის თავში, — ყოველი ეს შესაძლებელია გამიჩვენოს მხოლოთ დიალექტიკის შემწეობით; აქ რასაკვირველია, უნდა მივიღოთ მხედველობაში ურთიერთ-ზედმოქმედება ახლათ წარმომდგართა და გამქრალთა შორის, პროგრესიულ და რეგრესიულ ცვლილებათა შორის. ამ გზაზე დაადგა გერმანელების ახალი ფილოსოფია. კანტმა დაიწყო იქიდან, რომ ნიუტონის თეორია, დაფუძნებული მნათობთა სისტემის (სолнечная система) უცვლელობაზე და მათი სამუდამოთ არსებობაზე, — გადააკეთა ისტორიულ პროცესათ: იგი ამტკიცებდა, რომ მზე და მასთან ყველა პლანეტები წარმოდგებიან ნისლისებური გროვისაგანო (масса), რომელიც მუდამეამს ტრიალებსო. მასთან კანტი გვარწმუნებდა, რომ მნათობთა სისტემის წარმოდგომასთან არის დაკავშირებული მისი განქრობაცო. ნახევარი საუკუნის შემდეგ ეს თეორია იქნა მატემატიკურათ დამტკიცებული ლაპლასისაგან, გაიარა კიდევ ნახევარმა საუკუნემ და სპექტროსკოპის შემწეობით აღმოჩნდა, რომ მსოფლიო არსში არსებობენ მზისებრ გახურებული, გაზებისაგან შემდგარი გროვები, რომელნიც სხვა და სხვა მდგომარეობაში იმყოფებიან.

ეს ახალი გერმანელების ფილოსოფია დამთავრდა გეგელის სისტემაში, რომელმაც პირველათ, მისი უპირატესობაც ამაში მდგომარეობს, წარმოიდგინა მთელი ბუნებითი, ისტორიული და სულიერი არსი, როგორც პროცესი, ე. ი. როგორც მუდმივი მოძრაობა, ცვალებადობა, გარდაქმნა და განვითარება; მან პირველათ სცადა გაეთვალისწინებია შინაგანი კავშირი ამ მოძრაობაში და განვითარებაში. ამისდა მიხედვით კაცობრიობის ისტორია როდი წარმოდგენს უტიფარი დაძალები-საგან აზრების არე-დარევას, რომელიც დასაგმობია განსაკუთრებით ახლა, როდესაც ფილოსოფიამ მიიღო ცოტათ თუ ბევრათ გამორკვეული სახე; ისტორია წარმოდგენს თვით კაცობრიობის განვითარების პროცესს. ამ გვართ ახლანდელ აზროვნებას უნდა ქონდეს მიზნათ, რომ გაითვალისწინოს მთელი მსოფლიო მოძრაობაში, მცვლენათა არეულობაში, თან და თანობითი მსვლელობა განვითარებისა და დამატკიცოს შინაგანი კავშირი ყველა შემთხვევებთა შორის.

ის გარემოება, რომ გეგელის სისტემამ ვერ მიუგო ჯეროვანი პასუხი მისგანვე დასმულ კითხვას, ეს ჩვენთვის სულ ერთია. მისი უმთავრესი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მან პირველათ დასვა ეს კითხვა. ერთი კაცი ვერ შეიძლება გაეხსნა ასეთი კვანძი და ნათლათ წარმოედგინა მკითხველისათვის. თუმცა გეგელი გამოჩენილი თავი იყო თავის დროისა, მაგრამ ის შეზღუდული იყო ერთი მხრით, თავისი საკუთარი ცოდნით და, მეორე მხრით, თანამედროვე ეპოქის ცოდნით. მასთან არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ გეგელი იყო იდეალისტი, ე. ი. იგი ხედავდა თავის აზრებში არა უკვე არსებულ ნივთიერებიდან და ფაქტებიდან აბსტრაქტიულათ წარმომდგარ რამეს, არამედ ის უყურებდა სხვა და სხვა ნივ-

თიერებას და მათ განვითარებას, როგორც „იდეისაგან“ წარმოშობილს, რომელიც, მუდამ ჟამს არსებობდა საღდაც ქვეყნის გაჩენამდისაც კი.

ამ სახით მან ყოველივე არივ-ღარია, რადგანაც ნათლათ ვერ გამოხატა ნამდვილი კავშირი მოვლენათა შორის, თუმცა ქვეშაბრტე და გენიოსური იყო გეგმის შეხედულობა ურთიერთ დამოკიდებულებაზე ზოგიერთ მოვლენათა შესახებ, მაგრამ საზოგადო მისი სისტემა ვერ აცდა შეცდომებს. ეს გარემოება აიხსნება ერთი მხრით, იმ მიზეზებით, რომელიც ზევით იყო მოყვანილი, მეორე მხრით, მის სისტემაში ბევრია სიმართლეს მოკლებული, დაძალებული, გაქინურებული. გეგმის სისტემა წარმოადგენს თავის დროსათვის ერთ უმწვერვალეს შეცდომას (უდღეურობას), მასთან თავისებურ რამეს. მასში ჩვენ ვამჩნევთ მრავალ ადგილასაზრთა წინაამდგეობას. გეგელი წარმოგვიდგენს კაცობრიობის ისტორიას ერთის მხრით, როგორც მუდმივი განვითარების პროცესს, სადაც აბსოლიტურ (საყოველთაო და სამუდამო) ქვეშაბრტეებს არა აქვს ადგილი, მეორეს მხრით, იგივე გეგელი გვიხატავს თავის სისტემას, როგორც აბსოლიტურ ქვეშაბრტეებს. ყოველისა გარშემოცველი შეხედულობა ბუნებაზე და ისტორიაზე, საძირკველს უთხრის თვით დიალექტიკურ მეთოდს აზროვნებისას. ეს გარემოება ერთხელაც კიდევ გვარწმუნებს, რომ სისტემატიურ ცოდნით მთელი გარეშე არსისა შეგვიძლია დიდი ნაბიჯი წარვღვათ პროგრესისაკენ.

როდესაც შეგნებული იქნა ყოველმხრივი შეცდომილება გერმანელების იდეალიზმისა, აუცილებლობამ დაბადა მატერიალიზმი, რასაკვირველია, არა მეტაფიზიკური, არამედ მებანიკური, მე-XVIII-ტე საუკუნისა. მიუხედავად გულ-უბრიყო რევოლაციონურ, უბრალო შეხედულობისა, რომელიც უარყოფს მთელ წარსულ ისტორიას, თანამედროვე მატერიალიზმი ხედავს ისტორიაში კაცობრიობის განვითარების პროცესს და ამ გვარად თავისი კვლევა-ძიების საგნათ სახავს, აღმოაჩინოს ამ საერთო მოძრაობის კანონები.

მე-XVIII-ტე საუკუნის ფრანგები და თვით გეგელი წარმოგვიდგენდნენ მთელ ბუნებას, როგორც ერთ უცვლელ მთელს, რომელიც ტრიალებს ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრულ ვიწრო ფარგლებში მთელი თავისი მსოფლიო ნივთიერებით (ТЪЛАМИ), როგორც ამტკიცებდა ნიუტონი; მსოფლიოსთან ერთად მთელ ორგანიულ არსებათ აწერდნენ უცვლელობას, როგორც ასწავლიდა ლინეი.

წინააღმდეგ ამისა, თანამედროვე მატერიალიზმი აერთებს ბუნების - მეტყველებისაგან მოპოებულ ქვეშაბრტეებს ერთ მთელათ. ეს მეცნიერება (ბუნების-მეტყველება) ყოველ ნაბიჯზე გვარწმუნებს, რომ ბუნებას აქვს თავისი ისტორია დროში (во времени), რომ მთელი მსოფლიური სხეულები და მასხედან მცხოვრებნი ორგანიზმები, ჩნდებიან და ქრებიან, რომ თვით ეს მსოფლიო გარე-მოქცევა; ტრიალი, რამდენადაც შეგვიძლია განვსაჯოთ, არის გაუთავებელი, მუდმივი. ორივე შემთხვევაში მატერიალიზმი არსებითად დიალექტიკურია, ის ბოლოს უღებს ყოველ ფილოსოფიას, რომელიც ცდილობს მეცნიერებაზე მაღლა იდგეს. როდესაც თვითოეული დარგი მეცნიერებისა ნათლათ ხატავს თავის დამოკიდებულებას საერთო სისტემებთან და ცოდნასთან, მაშინ თვით ამ სისტემის მეცნიერებას ადგილი არა აქვს. მთელ უწინდელ ფილოსოფიაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სწავლას აზროვნებაზე (О МЫШЛЕНІИ) და მის კანონებზე, ერთი სიტყვით—ფორმალური ლოღიკა და დიალექტიკა, სხვა დანარჩენი ეკუთვნის მეცნიერებას ბუნებაზე და ისტორიაზე.

მაგრამ სანამ ასეთი შემეცნება მსოფლიოზე განმტკიცდ-

ბოდა მეცნიერულათ, უკვე ამაზე ადრე მოხდნენ სოციალურ ცხოვრებაში ცვლილებები, რომელთაც ძირითადად შესცვალეს შეხედულობა ისტორიაზე. 1831 წ. მოხდა ლანკაშერის შეხედულების პირველი მოძრაობა; 1838—1842 წლებში ინგლისური მუშების პირველი მოძრაობამ, ჩარტისტების—ინგლისში, მიაღწია უმაღლეს განვითარებას. კლასიკურმა ბრძოლამ ბურჟუაზია და პროლეტარიატის შორის დაიჭირა ისტორიაში პირველი ალაგი და მით მიიპყრო მთელი მოწინავე ევროპი ყურადღება.

ძველი, მაგრამ ჯერ კიდევ სრულიათ არ გამქრალი იდეა ლისტიურმა შეხედულობამ ისტორიაზე არ იცის არავითარი კლასიკური ბრძოლა, რომელიც დაფუძნებულია მატერიალურ ინტერესებზე, ის საზოგადოთ უარ-ყოფდა მატერიალურ ინტერესებს, წარმოებას და საზოგადოთ ეკონომი დამოკიდებულებათ (ОТНОШЕНІЯ), ის ეხებოდა მას შემთხვევით; ისიც როგორც უბრალო ელემენტს „კულტურის ისტორიის“

ახალმა ფაქტებმა აიძულეს ყველანი, რომ მთელი წინააღმდეგი ისტორია ახლათ განეხილათ. საქმის ამნაირათ მიმართულებამ აღმოაჩინა, რომ ისტორია, პირველ-დროინდელ ადამიანთა მდგომარეობის გარდა, არის ისტორია კლასიკური ბრძოლისა, თვით ეს ერთმანეთან მებრძოლნი კლასები არიან ნაყოფი წარმოების და გაცვლა-გამოცვლის (ОБМѢНА) პირობებისა, ერთი სიტყვით, თავის დროის ეკონომიურ დამოკიდებულებათა.

ეკონომიური სტრუქტურა საზოგადოებისა ქმნის იმ რეალურ საძირკველს, რომლის უკანასკნელ საფეხურზე ფუძნდება ყოველი უფლებრივი და პოლიტიკური დაწესებულება, აგრეთვე სარწმუნოებრივი, ფილოსოფიური და სხვა შეხედულობანი თვითოეული ისტორიული ეპოქისა.


გეგელმა გაანთავისუფლა შემეცნება ისტორიაზე მეტაფიზიკურ მსჯელობისაგან, მან გარდაქმა იგი დიალექტიკათ, მაგრამ თვით მისი წარმოდგენა ისტორიაზე არსებითათ იდეალისტიკურათ დარჩა.

ახლა-კი იდეალიზმი იქნა დევნილი მისი უკანასკნელი ბუდიდან—ისტორიიდან, შეხედულობა ისტორიაზე გარდაქმნა მატერიალისტიკურათ, ადამიანთა თვითცნობიერება ახსნილ იქნა მათი არსებობით და არა, როგორც წინეთ ფიქრობდნენ: არსებობის ახსნა თვითცნობიერებით.

ა. ჩ — ლი.

საზოგადოებრივი ჰიგიენიდან.

სანატორიებსა და ზღვის სანატორიულ სადგურების შესახებ. უკვე მედიცინის მამა მთავარმა ჰიპოკრატმა იცოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქლექის ჰიგიენურ - დიეტეტიკურ ექიმობას, ისიც იცოდა, რომ ხელშემწყობ პირობებში ქლექით ავადმყოფის მორჩენა შესაძლოა, ავადმყოფობის უმძიმეს ხანაშიაც. ამავე აზრისანი იყვენ ძველი დროის ექიმები გალენი, ცელსი, აგრეთვე კორნილი, კრაუველი, მარკო, ნოტნაგელი, ბოტკინი, ზახარინი და ბევრი სხვები ჩვენ დროში. ცხედრის გაქრამ არა ერთხელ დაანახვა ექიმებს, რომ დაქლექებულ ფილტვები გამორჩენილიყვენ და იარები მოსპობილიყო, თუნცა სიცოცხლის დროს აზრათაც არ მოსვლია არავის მათ არსებობა. საფრანგეთის ცნობილი პროფესორი ბრუარდელ საოცარ ციფრებს იძლევა ასეთი შემთხვევების შესახებ. მის აზრით თითქმის 50% არსებობს ტუბერკულოზის განკურნა. დიდი უმეტესბა ამ განკურნებულთა ეკუთვნის ისეთ პირებს, რომელთაც არ უაქიმნიათ არც წამლებით, არც სანატორიებში. სანატორიები ვრცელდებიან შვეიცარიაში მეწველების დასასრულიდან, როცა Brether-მა და Dettwiler-დარწმუნეს საზოგადოება, საქირთა დაქლექიანებულთათ



საგანგებო სამკურნალოების დაარსება. ამ ექიმებისაგან მოწყობილ სამაგალითო სანატორიებს ათვალისწინებდნენ უცხოელებიც, რომელთაც გადაიტანეს თავის სამშობლოში ამ დაწესებულებაში შემოღებული ექიმობის და მოვლის წესი სანატორიების გამრავლება — გერმანიაში განსაკუთრებით იწყება 1881 წლიდან, იმ მომენტიდან, როცა ბისმარკის პოლიტიკა მოიმატა სოციალურ რეფორმებისაკენ. თუმცა სიმატლე მოითხოვს ვალვიაროთ, რომ ბისმარკის „სოციალური პოლიტიკა“ იყო მხოლოდ მუშა ხალხისათვის თვალის ასახვევით გამოგონილი მანევრი, რომ ამ ნაირათ ძირითადი რეფორმების მოთხოვნა შეფერხებულიყო, მაინც ისიც უნდა ვალვიაროთ, რომ ბისმარკისაგან დაარსებულმა ფონდმა მუშებისათვის დასახმარებლათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დასახიზრდებოდნენ, დაავადდებოდნენ და შრომა აღარ შეეძლებოდათ, მოუტანა საკმაო სარგებლობა იმ კლასს, რომელიც ყველაზე უფრო საჭიროებს ფიზიკურ და გონებრივ დასვენებას. ამ ფონდიდან ეძლევა დახმარება იმ მუშებს და მათ ოჯახებს, რომელნიც შედიან სანატორიებში ან სხვა საექიმო დაწესებულებებში ან და შრომისთვის უვარგისათ, ინვალდით ხდებიან. შემდეგში ზემო აღნიშნულ შემთხვევებისაგან სავალდებულო დაზღვევა მუშებისა გაცილებით მეტი შანსი მისცა მუშების სანატორიებში შესვლას. გერმანიაში სამართლიანათ ამჟამინდელ უკანასკნელი რეფორმებით, რაც მეტათ ცხადათ გამოსთქვა ვილჰელმ II-მ, როცა ბერლინში იყო საერთაშორისო კონგრესი სახალხო სენთან, ქლექთან საბრძოლველათ. მართლაც ამ სოციალურ რეფორმის გამო სანატორიების საქმე გერმანიაში უფრო კარგათ დაყენებულია, ვიდრე საფრანგეთში და ინგლისშიც კი, რასაც აშკარათ დაინახავთ ქვემო მოყვანილ ცნობებიდან. საფრანგეთის მწერლების უმეტესობა, რომელსაც კი უწერიათ სანატორიების შესახებ, აღიარებენ, რომ სანატორიების უმეტესი რიცხვი საფრანგეთში შენდება კერძო, საქველმოქმედო შეძლებით, ოს გამო ხშირათ ეს სანატორიები მუდმივ წყაროებს მოკლებულნი, სრულიათ ვერ აღწევენ მიზანს. გარდა ამისა, როგორც ერთი ავტორი ექიმი Camille Savoire შენიშნავს, საექვოა, რომ იმ აუარებელ ხარჯს, რომელიც სანატორიებს უნდება, შეფერხებოდეს მათ მიერ მოცემული შედეგები. ეს დაწესებულებები დღევანდელ პირობებში ხელმისაწვდენი არიან მხოლოდ მდიდრებისათვის და არაფერ შემთხვევაში არ შეიძლება ჩავთვალოთ ისინი რაციონალურ ზომათ ქლექთან, როგორც სასახლეს ავადმყოფებისათვის საბრძოლველათ. ამ აზრის დასადაფუთებლათ საკმარისია გავისხნოთ, რომ საფრანგეთში ქლექით ავადმყოფთა რიცხვი 300,000-ზე მეტია. იქვე ავტორს მოყავს ცნობები სხვა და სხვა სანატორიების შესახებ, ამ ცნობებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ერთაშვა თვითოეული კრაოტი სანატორიის აგების დროს ჯდება 6,000 ფრანკათ; ამ ჯამში შედის მხოლოდ აშენების ხარჯი; ავაოყოფის შენახვა კი, ექიმის ჰონორარის გარდა, დღე და ღამეში ჯდება ექვს — შვიდ ფრანკათ. საექვოა, დასაკვნის ავტორი, რომ ქველმოქმედებას, რამდენათაც ფართვ არ იყოს ის, შეეძლოს დახარჯოს 1½—2 მილიონი მარტო ისეთი სანატორიების აგებაზე, სადაც მოთავსდება ორასი კაცი. ეს მეტათ ძვირი და არა დემოკრატიული სისტემა არის.

ინგლისი ამ გვარევე მსჯელობის მიხედვით, ამჯობინებს ქლექთან საბრძოლველათ სხვა ნაირ გზას. ის ცდილობს მოსპოს სენის თვით ძირი, რისთვისაც აუმჯობესებს ცხოვრების ჰიგიენურ პირობებს, ცდილობს ქალაქების გამომრთვლებას, ბისტების გაუმჯობესებას, ხალხში ავრცელებს ჰიგიენურ ცოდნას, ამაღლებს ხელუასს. ამ ზომების მეოხებით ინგლისმა ბევრ რამეს მიაღწია, რასაც ნათლათ ამტკიცებს ქლექით დახოცილთა შესახები ცნობები. უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში ჩვენ

ვხედავთ, რომ ქლექით დახოცილთა რიცხვი პროგრესით კლებულობს და ჩამოვიდა 26,8-დან 13,6-დგ 10,000 მცხოვრებზე, ესე იგი დახოცილთა რაოდენობამ ორ მესამედით შემცირდა. ვე დროს გერმანიაში მიუხედავათ ყოველიც ცდილობს ქლექით ჩამოიყვანა 22-დგ. ერთმა ინგლისელმა ექიმმა N. Beavor-მა განიზრახა გამოერკვია უახლოებელესი მიზეზები იმისა, თუ რატომ იკლო ქლექმა ინგლისში და უელსში 1861 წ. 1895-დგ მოყოლებული და აი რა დამოკიდებულება აღმოაჩინა ქლექის შემცირების და ზოგიერთ სოციალურ ფაქტების შორის. სიკვდილი მცირდება:

- 1) დატაკთა რიცხვის შემცირებასთან ერთათ,
- 2) ხელუასის აწვეასთან ერთათ და
- 3) თვითეულ სულზე წასულ პურის რაოდენობის აწვეასთან ერთათ.

ამ დასკვნას არავითარი განმარტება აღარ ესაჭიროება. ახლა მივმართოთ რუსეთს და გავიგოთ, თუ როგორაა აქ დაყენებული სანატორიების შესახები კითხვა. რუსეთის პირობები უფრო უახლოვდებიან საფრანგეთისას, სანატორიების დაარსების მხრითაც, მათი მოწყობითაც და აგრეთვე იმ განსაკუთრებულ შეხედულებითაც, რომლის ძალით სანატორია მიაჩნიათ უებრო იარალათ ქლექთან საბრძოლველათ. განსხვავება მხოლოდ მასშტაბშია და აგრეთვე იმაში, რომ რუსეთის მთავრობა მეტ მონაწილეობას ღებულობს ამ საქმის მოწყობაში, ხოლო ქველმოქმედება ნაკლებს, ვიდრე საფრანგეთში. თუ რუსეთის ბიუჯეტს შედარებით დავაფასებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სახელმწიფოში სანატორიებს განსაკუთრებული მფარველობით ეკიდებიან, მაშინ როდესაც სულ უყურადღებოთაა დატოვებული სავადმყოფოები და სხვა სამკურნალო დაწესებულებები, რომელნიც ელიან და ვერ ღირსებიან რეორგანიზაციას და მეტ ყურადღებას; რასაკვირველია, სულ უყურადღებოთაა დატოვებული სხვა გარემოებანი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ქლექით დაავადმყოფებისათვის. მთავრობის სანატორიების შორის ცნობილია ხალილას სანატორია ფინლიანდიაში, ტალცის სანატორია პეტერბურგის ახლო; როდენიმეთ მთავრობა ეწევა მასანდრაში მოთავსებულ სანატორიას აღუბკაში არის სანატორია ბავშვთათვის პროფ. ბობროვისაგან დაარსებული. ვასპრაში იალტის ახლო სანატორია კერძო ხელშია. ვინდავაში არსებობს სანატორია ეგრეთ წოდებულ ხირურგიულ ტუბერკულიოზით ავადმყოფთათვის. აგრეთვე არსებობს სანატორია ბავშვთათვის ასერნში, რიგის მახლობლათ.

ჩვენი სტატიის პროგრამაში შედის ზღვის სასანიტარო სადგურები, რომელთა შესახებ ჩვენ ქვემოთ მოვილაპარაკებთ, ახლა კი განვიხილოთ ის პირობები, რომელშიაც იმყოფებიან ავადმყოფები ნამდვილ სანატორიებში, ე. ი. ისეთ დაწესებულებებში, სადაც ავადმყოფს სრულიათ ინახვენ და აძლევენ ყოველ საშუალებას სიმრთელის აღსადგენათ.

ჰავრი და სინათლე, წესიერი კვება, ფიზიკური და ზნეობრივი სიმშვიდე და სისუფთავე — აი რაზე ზრუნავს უმთავრესათ სანატორია და უნდა ვალვიაროთ, რომ ამ პირობებს საკმარისათ ასრულებენ ხსენებული დაწესებულებები. ასეთი მოვლის წყალობით შედეგებიც მეტათ სანუგეშოა არამარტო სამხრეთისაკენ, რომელიც ძველადანვე ცნობილია, როგორც საუკეთესო სამკურნალო ადგილი ფილტვებით ავადმყოფთათვის, არამედ ჩრდილოეთშიც, როგორც, მაგალითათ, ხალილაში, სადაც ექიმობას წარჩინებული შედეგი მოყვა. ექიმმა გაბრილოვიჩმა გამოკითხა 140 ავადმყოფს, რომელთა შორის ორმოცდა ათმა გამოგზავნეს ვრცელი პასუხი და უმეტეს შემთხვევაში გამოგზავნეს ექიმების მოწმობა მათი სიმრთელის შესახებ. ამ ავადმყოფებს რაც თავი დაუწებებიათ სანატორიის

ვის, ნახევარ შემთხვევაში იყო სამიდან ექვს წლამდე, დანარჩენში ნახევრიდან ორ წლამდე. შედეგები ამ ნაირათ გამოიხატება: 37 კაცს საგრძნობლათ დაეტყო გაუმჯობესობა, 28 კაცს ავადყოფობის ნიშნები სრულადაა არა აქვთ ფილტვებში და მხოლოდ 7 უარესათ არის, დანარჩენთა სიმრთელეს ცვლილება არ ეტყობა. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ პირველმა ორმა ჯგუფმა მოკიდა ხელი წინანდელ თავის საქმეს და მიუხედავად ამისა კარგათ გრძნობენ თავის თავს. ამავ დროს კი უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტეს ნაწილს, 84% ამ ავადყოფობისა ავადყოფობა მეორე საფეხურზე ქონდა. მორჩენილა 50% მეტი. საოცარი შედეგია; და ეს ჩრდილოეთში! უკვე დიდი ხანია ამტკიცებენ სანდო პირები, რომ ქლექის აქიმობა ყოველ ადგილს შეიძლება. რაუზფუსი და პროფ. ველიამინოვი ამ აზრის მიხედვით ამტკიცებენ, რომ ბალტის ზღვის ნაპირები ძალიან გამოსადეგია ზღვის სასანიტარო სადგურებისათვის; იმავე დროს უჩვენებენ, რომ ამ გვარ ექიმობას დიდი წარჩინება აქვს ჰოლანდიაში და ინგლისში. პროფ. ბობროვი იცავს სამხრეთი ზღვების ნაპირებს და სხვათა შორის შავი ზღვისას. ექვს გარეშეა, რომ სამხრეთში ავადყოფი უფრო ისარგებლებს სითბოთი და სინათლით, მაგრამ ის აზრიც, რომ ჩრდილოეთშიაც შეიძლება წარჩინებით აქიმობა ქლექისა თანდათან მეტ დასვენებას პოულობს.

ამის გამო ჩვენ შეგვიძლია მკითხველი ყურადღება მივაქციოთ ფრანგი ავტორების ცნობილი კლინიკისტის, პროფ. Robin-ის და ექიმი Binet-ის შრომას: ისინი ამტკიცებენ, რომ ის აზრი, თითქო ცივი ჰაერი აუცილებლათ მავნე იყოს ქლექიანისთვის, უნდა გვიცნოთ უსაფუძლო. პირ იქით, ისინი კატეგორიულათ აცხადებენ, რომ „ცივი ჰაეა ძალიან მარგებალია ქლექიანთა უმეტესობის საექიმოთ, ხოლო იმ პირობით, რომ სხეულის ზედაპირი თფილათ იყოს შენახული“.

ქლექიანის ორგანიზმი მეტათ სწრაფათ თვისთავათ იწვის, აი ამ თვითწვის შეფერხება უნდა იყოს პირველი მიზანი ფიზიკური გინდ წამლით ექიმობის. ამიტომ ხშირათ მიღებული ექიმობა ქლექის ეგრეთ წოდებულ ტანიური საშვალეებით, ე. ი. ისეთი საშვალეებით, რომელნიც აძლიერებენ ორგანიზმში ნივთიერების ცვლას (წვას), უნდა იქნას უარყოფილი, პირიქით ექიმობა უნდა გამოიხატოს ისეთი საშვალეების ხმარებაში, რომელნიც შეამცირებენ ორგანიზმის თვითწვას და მის საჭიროებას მთავადში. საუკეთესო ფიზიკური საშვალეა ორგანიზმის თვითწვის და მთავადში მის საჭიროების შესამცირებლათ არის ფიზიკური და გონებრივი სიმშვიდე. ცივი ჰაერი სწორეა ამგვარათვე მოქმედობს. ის არ ადიდებს ქსოვილების მიერ ჩანთქმულ მთავადის რაოდენობას და ამცირებს გამოშორებულ ნახშირ-მთავის რაოდენობას. მაშ ამცირებს წვას, რაც საყურადღებოა ავადყოფისათვის. ხსენებულ ავტორების გამოკვლევას, „ქლექიანთა ფილტვებში გაზების ცვლის შესახებ“ მეტათ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჯერ ხსენებულ ავტორების თეორიას არ მოუბოვებია საქმარისი მომხრეები.

ექიმი
(შედეგი იქნება)
რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

ფოთის საზოგადოებრივი კურსები.

გ. გავინეაშვილისა.
თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ

ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთა გავიგებნათ უფასოთ.

მ ი კ რ ი ე ნ ე ლ ი
მ ი კ რ ი ე ნ ე ლ ი

გიორგი წარბთელის დიდი სურათი იყიდება თფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში მ. ლალიძესთან ფასი ერთი აბაზი.

მ ა მ ი ბ ი ე . გ . შ ო მ დ ო რ ო ვ ი .

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადყოფილებს საშობათს, ხუთშობათს, შობათს 5—7 საათამდე.
მიხეილის პროსპექტი, № 144.

ს ა ს წ ა ვ ა ლ ე ბ ე ლ ი დ ა პ ა ნ ს ი ო ნ ი .

ა. მამულაიშვილისა.
ვერა, სლევცოვის ქუჩა, № 13. ზემელის აფთექის მალაობლათ.
ამხადებს ბავშვებს საშვალო სასწავლებლებისათვის (გამაზნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.). იქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცთა (переэкзаменовки).

თფილისის კერძო სამკურნალო

გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა

(ვერა, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).
ტელეფონი № 274.

ავადყოფილებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი დ ი თ :

- გ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
- გ. გ. შალვაშვილი — შინაგ. სამშ. ხუთშ. და შობათობი 10—11.
- ო. შ. ახალაშვილი — კბილის სნეულებანი, 11—12.
- გ. მ. კლიაშვილი — შინაგ. და ბავშვ. 11—12.
- გ. მ. მანსუკტოვი — შინაგანი და ნერვების, და ბავშვებს სამშაბ. და პარასკ. — 1—2.
- ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშობათობი ოთხშობათ. და პარასკეობით, 12—1.
- გ. გრ. სობოლევსკი — ქირურგ. და ორტოპედიული, ორ ოთხშ. და პარასკ. 1—3 საათ.

ს ა დ ა მ ო თ ი :

- ო. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.
- მ. გ. იანჩუკოვი — ყურის, ყელის და ცხვირის 5—6, კვ რაობით 12—1.
- ა. გ. შალვაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმიური გამოველევანი 5—6.

გ ვ ი რ ა მ ბ ი თ :

- გ. მ. მანსუკტოვი — შინ., ნერვ. და ბავშვ. 9—10.
 - გ. გ. შალვაშვილი — შინაგან ავადყოფ., 10—12.
- სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კოაოტები მორიგებით.